

# ხობის მოამბე



№2-3 (7085) 25 მაისი,
ხუთშაბათი, 2017 წელი
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

# 26 მაისი– საქართველოს დამოუკიდებლობის დღე! შოთა რუსთაველის 850 წლისთავი!



ვულოცავ მთელ საქართველოს ჩვენს უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს–26 მაისს და შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს.

დამოუკიდებლობის დღე გამორჩეულად წარმოადგენს მაღალგანვითარებული, ძალადობისგან თავისუფალი საზოგადოების მშენებლობის საქმეში ჩვენი თავისუფლების სიმბოლოს.

საქართველოს სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიკეთესთან ერთად, თითოეული ადამიანის ცხოვრებაზეც სასიკეთოდ აისახება.

დღეს, უფრო მეტად უნდა შევძლოთ ქვეყნის უკეთესი მომავალის შექმნაზე ზრუნვა. უნდა მოვახერხოთ მაღალგანვითარებული, ძალადობისგან თავისუფალი, ეკონომიკურად ძლიერი, უსაფრთხო რეგიონის ჩამოყალიბება, რომელიც ქვეყნის სიძლიერის საწინდარია.

**ირაკლი (დაჩი) ბერაია,**
**საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი.**



ჩემო თანამოქალაქეებო! გილოცავთ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ დღესასწაულს–საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

26 მაისი გამორჩეული თარიღია თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. ამ დღემ მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ქვეყნის მომავალი. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება, ნებისმიერი ერის ცხოვრებაში, გამორჩეული მოვლენაა, რომელსაც გაფრთხილება და დაცვა სჭირდება.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთი ქარტეხილი დასტყდომია თავს, მაგრამ ჩვენი წინაპრების თავდადებამ, დიდმა ეროვნულმა კულტურამ და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულმა შეუძლებელი შეაძლებინა.

„ჩვენ რუათაველის ქვეყნიდან ვართ“. სიმბოლურია, რომ წელს დამოუკიდებლობის დღეს საქართველო რუსთაველის იუბილეს აღნიშნავს.

საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველმა მოქალაქემ იგრძნოს თავი დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოს სრულფასოვან მოქალაქედ. მჯერა, შრომითა და თანადგომით, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ არაერთ კარგ საქმეს გავაკეთებთ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, დღეს, როცა აღსრულდა ჩვენი წინაპრების დიდი ხნის ოცნება–საქართველო შეუერთდა სუვერენული სახელმწიფოების ოჯახს.

**გოჩა ქაჯაია,**
**ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.**



ძვირფასო ხობელებო, თანამოქალაქენო!

გილოცავთ ჩვენი ქვეყნის უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს–საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

26 მაისი არის საქართველოს გმირული ისტორიული წარსულის, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი სახელოვანი წინაპრების და საერთოდ, „ყოველთა ქართველთა“ სანუკვარი ოცნებისა და გამარჯვების სიმბოლო. სწორედ დამოუკიდებლობის ამ აქტის საფუძველზე მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს.

დღესაც უდიდესი გამოწვევების წინაშეა ჩვენი ქვეყანა... ყოველი ჩვენთაგანის ვალია, გავუფრთხილდეთ წინაპართა მონაპოვრებს და დავიცვათ ქვეყნის სუვერენიტეტი, გავიმარჯვოთ ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები, გავაგრძელოთ ქვეყნის განვითარების ისტორიული მემკვიდრეობის–ევროპული, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, რათა დავუმკვიდროთ ჩვენს სამშობლოს და მომავალ თაობას ღირსეული ადგილი ცივილიზებულ და თავისუფალ სამყაროში.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ წელს საქართველო ზეიმობს შოთა რუსთაველის იუბილეს.

26 მაისი ეროვნული გმირის, ერის სინდისად აღიარებული მერაბ კოსტავას დაბადების დღეა, რომელიც განგების ნებით, სიმბოლურად ემთხვევა ამ თარიღს...

კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

**ედიშერ ჯობავა,**
***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.***

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიში

5-12

## ,,იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგოთ“



9 მაისი სიკეთის დიდი გამარჯვების დღეა, ანუ ბოროტების დამარცხების დღე. ეს დღე არის სიმბოლო მსოფლიო ძალების გაერთიანებისა და ყველაზე სასტიკი შავი ჭირის–ფაშიზმის დამარცხებისა.

72 წელი გავიდა მას შემდეგ... ჩვენ და მომავალი თაობაც ვალდებულნი ვართ გავიხსენოთ და დიდი პატივით მოვიგონოთ ომში დაღუპულები და ომგამოვლილები.

ომის საშინელება საქართველოს ყველა კუთხემ იწვნია. არც ჩვენი მუნიციპალიტეტი ყოფილა გამონაკლისი, დღეს ომის მონაწილენი. სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელიღა დარჩა...

9 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი ომში დაღუპულებს. სამწუხაროდ, მხოლოდ ომის ერთმა მონაწილემ კაპიტონ ცხადაიამ მიიღო ამ სევდანარევ ზეიმში მონაწილეობა. ბატონმა ვალიკო ჭითანავამ კი მოსვლა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად პატივი მიაგეს ომში დაღუპულთა ხსოვნას და ყვავილებით შეამკეს ხეთის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში–,,ხსოვნის ველზე“ არსებული სიმბოლური საფლავები, საჯარო სკოლების მოსწავლეთა და ანსამბლ ,,კოლხეთის“ მონაწილეობით მხატვრულ-მუსიკალური კომპოზიცია ,,რაც დავიწყებით არ იბინდება“ გაიმართა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებმა მიიღეს ერთჯერადი ფულადი დახმარება 600 ლარის, ხოლო დაღუპულთა ოჯახებმა–300 ლარის ოდენობით. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვეტერანებს პირად საბანკო ანგარიშზე 250-250 ლარი, ხოლო შპს ,,შავი ზღვის ტერმინალისგან“ 100-100 ლარი ჩაერიცხათ.

გამარჯვების დღე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ.

ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მოსწავლეებმა წარმოადგინეს მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია.

ბატონმა კაპიტონ ცხადაიამ დიდი მადლობა გადაუხადა ყველას და თავისი გამოსვლა ასე დაამთავრა: ,,მშვიდობა ჰქონოდეს მთელ მსოფლიოს, ნურასოდეს გენახოთ ომი“.

ღმერთმა გისმინოთ ბატონო კაპიტონ, დიდხანს ყოფილიყავით ჩვენთან ერთად.

***ბეჟან ნადარაია.***

## სამეგრელო ეგებება „დედოფალს!“



27-28 მაისს, საკვირველმომქმედი და მსწრაფლშემსმენელი ხატი „დედოფალი–სიხარულის მომნიჭებელი“, რომელიც უკვე დიდი ხანია მთელი ერის ნუგეში და მფარველი გახდა. მეუფე გრიგოლის კურთხევით ხობში ჩაბრძანდება. ღვთისმშობლის ამ უდიდესი ხატის ჩაბრძანების ორგანიზატორი გახლავთ ხობის ყოვლადწმიდის ქალწულ მარიამის ტაძრად მოყვანების, წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მღვდელმთავრისა და საკვირველმოქმედისა ნიკოლოზის საეკლესიო კომპლექსი და საპატრიარქო რეზიდენციის აღმშენებელი, ბატონი **გოდერძი ბუკია.**

ხობის ამ საეკლესიო კომპლექსშივეა მუდმივ მფლობელობაში დაბრძანებული 83 წმინდანის წმინდა ნაწილი, რომლებიც საქართველოში გოდერძი ბუკიასა და მისი მეგობრების დიდი ღვაწლით, სპეციალურად ამ კომპლექსისთვის, ჩამობრძანდა კიევპეჩორის ლავრიდან...

28 მაისს სწორედ ხობის ამ საეკლესიო კომპლექსის დღესასწაულია და ამჯერად ამ დღესასწაულს „დედოფალთან“ ერთად იზეიმებს სამეგრელო.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ჯაპიშაქრის წმინდა გიორგის ეკლესიაში ტაძრის დღესასწაული აღნიშნეს



6 მაისს, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს აღნიშნავს. დღესასწაულთან დაკავშირებით, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაპიშაქრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა, ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად საზეიმო წირვა აღავლინა.

ღვთისმსახურებას საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

## დასუფთავების აქცია ხობის მუნიციპალიტეტში



ხობის მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქცია გაიმართა, რომელშიც ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეებთან ერთად, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, საჯარო სკოლების, თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მუნიციპალიტეტის ოცდაორივე ადმინისტრაციულ ერთეულში დასუფთავდა წინასწარ განსაზღვრული ადგილები. აქციას, რომელშიც სამასამდე ადამიანი მონაწილეობდა, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია შეუერთდა.

დასუფთავების აქციის პარალელურად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, 100 ერთეული ურნის დადგმის პროცესი მიმდინარეობს, ასევე რამდენიმე დღეა ექსპლუატაციაში შევიდა და სრული დატვირთვით მუშაობს, ორი ახალი (7მ³ და 13 მ³ მოცულობის) ნაგავმზიდი მანქანა.

დასუფთავების აქცია მუნიციპალიტეტში პერიოდულად გაიმართება.

## „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის“ პროგრამასთან დაკავშირებული შეხვედრა



ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ადგილობრივი მეწარმეები, დაინტერესებული მოქალაქეები და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა შეხვედრის მონაწილეებს პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და მათ შეკითხვებს უპასუხა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ახალი ეტაპი იწყება. 31 მაისის ჩათვლით ბიზნესიდეების რეგისტრაცია ვებ-გვერდზე: www.qartuli.ge იქნება შესაძლებელი. კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა იმ ადამიანს შეეძლება, ვისაც ახალი ბიზნესის წამოწყება ან არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღება სჭირდება.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ორ ძირითად ეტაპს:

1) **ბიზნესიდეების წარდგენა,** რომელიც **2017 წლის 31 მაისის** ჩათვლით გაგრძელდება. დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ, წარმოადგინონ ბიზნესიდეის განაცხადი ონლაინ ვებ-გვერდზე: www.qartuli.ge რის შემდეგაც მოხდება საუკეთესო ბიზნესიდეების ავტორების გამოვლენა. გამარჯვებულებს ჩაუტარდებათ ტრეინინგი მეწარმეობის შესახებ, რომელიც მოიცავს ბიზნესგეგმის მომზადების საკითხებსაც;

2) შემდგომი ეტაპი **ბიზნესგეგმის წარდგენას** მოიცავს, სადაც მონაწილეებმა განაცხადი ისევ ვებგვერდზე: www.qartuli.ge უნდა შეავსონ, რის შემდეგაც გამოვლინდებიან საუკეთესო ბიზნესგეგმების ავტორები. სწორედ ბიზნესგეგმების კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული მონაწილეები მიიღებენ პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას და ჩაუტარდებათ როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ტრეინინგები.

**დაფინანსების მექანიზმი შემდეგნაირია:**

**ერთი მეწარმე სუბიექტი თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა 5 000 ლარი;**

**ორი მეწარმე სუბიექტი თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა 10 000 ლარი;**

**სამი მეწარმე სუბიექტი თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა 15 000 ლარი.**

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს, თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ კრიტერიუმებს:

- არის საქართველოს სრულწლოვანი (18 წელს მიღწეული) მოქალაქე;
- არ არის საჯარო მოხელე;
- არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე;
- კონკურსებში გამარჯვების შემთხვევაში, განახორციელებს მინიმუმ 20%-იან თანხობრივ თანამონაწილეობას.

მზად არის ბიზნესგეგმების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა.

## მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები




ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმში, მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით ღონისძიება „ძუკუ ლოლუა და მისი მოსწავლეები“ გაიმართა.

პარალელურად მუზეუმში მისულ დამთვალიერებელს, თვითნასწავლი მხატვრისა და ფოტოგრაფის, **ირაკლი შონიას** ნახატების და ფოტო-ნამუშევრების დათვალიერების შესაძლებლობა ჰქონდა.

გამოფენა სახელწოდებით „რწმენის ძალა“ ქრისტეს აღდგომის დღესასწაულისადმი იყო მიძღვნილი. გამოფენილი ნამუშევრები რელიგიურ თემატიკაზე მხატვრის მიერ ბოლო პერიოდში შექმნილი ნახატების ნაწილს წარმოადგენს, რომლის დათვალიერების საშუალება დაინტერესებულ პირებს 27 მაისამდე შეეძლებათ.

საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილი ნამუშევრები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **გოჩა ქაჯაიამ** და საკრებულოს თავმჯდომარემ, **ედიშერ ჯობავამ** დაათვალიერეს.

მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში მორიგი ღონისძიება ხეთის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 27 მაისს გაიმართება.

## სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა



2 მაისს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს–სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე არჩაია უძღვებოდა. სხდომას ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს–ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის და შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა სხდომის დღის წესრიგით:

1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ;

2. ქ. ხობში („კოლხეთის“ ტერიტორია) მდებარე სასაფლაოს კეთილმოწყობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;

3. ხობის მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.)

გათვალისწინებულ საკითხებზე იმსჯელეს და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებისგან განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს.

საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შეიმუშავებს და წარადგენს სამოქალაქო ინიციატივებს, რეკომენდაციებს და მოსაზრებებს.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

28 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული განკარგულების პროექტი ფრაქცია „მაჟორიტარების“ შექმნის შესახებ, რომლის თავმჯდომარეც გახდა საკრებულოს წევრი ვასილ კუკავა.

საკრებულოს სხდომაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურმა წარადგინა 2016 წლის მუშაობის შესახებ ანგარიში, რომელიც საკრებულოს წევრების მხრიდან შეფასდა დამაკმაყოფილებლად.



სხდომაზე შემდეგ საკითხად განხილულ იქნა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც განხორციელდა გამგებლის ბრძანებების საფუძველზე მუხლიდან მუხლში გადატანილი ცვლილებებისა და პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის 235.1 ათასი ლარის ბიუჯეტში ასახვა.

სხდომაზე განიხილეს პეტიციის წესით შემოსული საკითხებიც, რომელიც შეეხებოდა მუნიციპალიტეტის 5 ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის მხრიდან დასმული პრობლემების გადაწყვეტას. გამგეობის წინადადების საფუძველზე ამ ეტაპზე მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ: პირველი მაისისა და ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდება სანაგვე ურნების განთავსება და ნარჩენების გატანა.

ხამისქურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საჯარო სკოლიდან ცენტრალურ საავტომობილო გზამდე გზის მონაკვეთის მოწყობასთან დაკავშირებით უახლოეს პერიოდში მომზადდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

2016 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, სადაც გამგებელმა დეტალურად ისაუბრა ყველა იმ პროექტებზე, რაც გასულ წელს წარმატებით განხორციელდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საკრებულოს მიერ გამგებლის 2016 წლის ანგარიში ერთხმად შეფასდა დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## კონფერენცია გენდერულ საკითხებზე



საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ორგანიზებით, ანაკლიაში, სასტუმრო „Palm beach“-ში, თემაზე ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობებში–ევროპული ქარტიის პრინციპები“ კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნიამ და საკრებულოს წევრმა მზია ლემონჯარიამ.

სიტყვით გამოსვლისას საკრებულოს თამჯდომარე ედიშერ ჯობავამ ყურადღება გაამახვილა ხობის მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით განხორციელებულ და სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე.

## გზის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს



საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და გამგებლის მოადგილემ ვარაზ გაბედავამ ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ტერიტორიის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობა.

## მორიგი შეხვედრა ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში



6 მაისს, ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დასახლებაში, პარლამენტის მაჟორიტარი წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავასთან, გამგებელ გოჩა ქაჯაიასთან და გამგებლის მოადგილე ვარაზ გაბედავასთან ერთად, მოსახლეობას შეხვდა.

შეხვედრისას პარლამენტის მაჟორიტარმა სოფლის მეურნეობის კუთხით განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტები, მუნიციპალიტეტისთვის საჭირო გამოწვევები და დევნილების დასახლებაში არსებული პრობლემები განიხილა.

## საჯარო სამსახურის ბიურომ სამუშაო შეხვედრა გამართა



2017 წლის 10 მაისს საჯარო სამსახურის ბიურომ სამუშაო შეხვედრა გამართა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უწყებების, სასამართლო ხელისუფლებისა და დასავლეთ საქართველოს თვითმმართველობებისა და გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ლელა შამათავა და საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების წამყვანი სპეციალისტი გიორგი გერგაია.

WWW.KHOBI-SAKREBULO.Ge.

ფიქრები ახალ საკონსტიტუციო მოდელზე

# კონსტიტუცია–სახელმწიფოს პოლიტიკური პასპორტი

საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისიამ მუშაობა დაამთავრა. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი უკვე მზად არის. პროექტი საზოგადოებას და ვენეციის კომისიას წარედგინა. მჯერა, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია შეაჯერებენ მოსაზრებებს და მივიღებთ ახალ კონსტიტუციას, რომელიც იქნება თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს აშენების გარანტი. მოსაწონია, რომ არსებობს მისი პრაქტიკული განხორციელების და შემდგომი სრულყოფა–განვითარების კონცეფცია, რომელიც აკეთილშობილებს და დემოკრატიულს ხდის მას. პროექტი აძლიერებს ოპოზიციას, არასამთავრობო სექტორს და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, რომელიც იძლევა იმის მტკიცე გარანტიას, რომ პრეზიდენტი არჩეულიქნას არაპირდაპირი გზით, როგორც ეს არის გერმანიაში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, ჩეხეთში და ა.შ. პრეზიდენტი არ უნდა იყოს მთავრობის ალტერნატივა.

საპარლამენტო რესპუბლიკიდან გამომდინარე, ყველა დონის მმართველობას აკომპლექტებს სახელისუფლებო ძალა.

„პრეზიდენტის მაღალი სტატუსი რჩება უცვლელი, ის არის სახელმწიფოს მეთაური, უმაღლესი მთავარსარდალი და წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში,–განაცხადა საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ. მხარს ვუჭერ, რომ უშიშროების საბჭო უნდა ექვემდებარებოდეს აღმასრულებელ ხელისფლებას, რადგანაც მის მიერ მიღებული რეკომენდაციების და გადაწყვეტილებების შესრულების ბერკეტები პრეზიდენტს არ გააჩნია, ის მის ფუნქციებში არ შედის. ყოველი ზემოდან გამომდინარე, პრეზიდენტის ინსტიტუტი უმაღლესი ლეგიტიმურობის თანამდებობას არ წარმოადგენს, ის არ გახლავთ საპარლამენტო სახელმწიფოში აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი და ეს ფუნქცია მთლიანად ეკისრება პრემიერ-მინისტრს.

მომხრე ვარ, გაუქმდეს წინასაარჩევნო ბლოკები. დღეს მრავალი წვრილ-წვრილი პარტია ამ ბლოკებშია გაერთიანებული. დაფინანსებას კი ისინი სახელმწიფოსგან იღებენ, რაც არ შეიძლება უარყოფითად არ აისახოს სახელმწიფო ბიუჯეტში. სხვათა შორის, „ქართული ოცნება“ დღესაც კოალიციაა. მასში შედიან ზვიად ძიძიგურის „კონსერვატიული პარტია“, გია ჟორჟოლიანის „სოციალისტური პარტია“ და გიორგი გაჩეჩილაძის „მწვანეები“. რეალობას მოკლებულად მიმაჩნია ის განცხადება, რომელიც დეპუტატმა ირმა ინაშვილმა ქ. ზუგდიდში მოსახლეობის წინაშე პროექტის განხილვისას განაცხადა. თურმე მას და მის პარტიას იმიტომ არ უნდათ ბლოკების გაუქმება: „ის არის მთავარი ბერკეტი დღევანდელი ხელისუფლების დასამარცხებლად“, ასეთი განცხადება დეპუტატს არ ეკადრება. ასევე არა მგონია, პრეზიდენტის ბოლოდროინდელი გაუმართლებელი განცხადებები პროექტთან დაკავშირებით ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობდეს და ქვეყნის უსაფრთხოებას ხელს უწყობდეს. ყოველ ამ პროცესს იგი საკუთარი გადმოსახედიდან უყურებს და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საუბრობს მაშინ, როდესაც კონსტიტუცია ყველა პოლიტიკური პარტიის, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების კანონთა კანონია.

***საშა არჩაია,***
***პედაგოგი, საერო აკადემია „ფაზისის“ ნამდვილი წევრი.***

# „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“

„ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ - ეს არის საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი ინიციატივა და საქართველოს მასშტაბით საოლქო საარჩევნო კომისიების მოსახლეობასთან შეხვედრებს ითვალისწინებს. თითოეულ მუნიციპალიტეტში გასვლითი


ქ. ხობი

შეხვედრები ეტაპობრივად იმართება.

ამომრჩევლებს საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები სოფლებსა და მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხვდებიან და 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების და საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ აწვდიან ინფორმაციას; ურიგებენ მათ საინფორმაციო ბარათებს თვითმმართველობის არჩევნების შესახებ, ესაუბრებიან საკუთარი საარჩევნო უფლებების თაობაზე და იზიარებენ მათ მოსაზრებებს.

გამონაკლისი არც №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისია გახლავთ. საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები მოხალისეებთან ერთად ამომრჩევლებს ვხვდებით. გასვლითი შეხვედრები გაიმართა ქ. ხობში, ხეთაში, საჯიჯაოში და ჭალადიდში.

საარჩევნო ადმინისტრაციისთვის არსებითად მნიშვნელოვანია მოქალაქეების აზრის გაგება. ზოგადად, საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით და სწორედ მათი მოსაზრებების გათვალისწინება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესების მიზნით; აღნიშნულიდან გამომდინარე, სურვილის შემთხვევაში ამომრჩევლები შეავსებენ მოსაზრებების ბარათებსაც. საარჩევნო ადმინისტრაცია, თავის მხრივ კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს მიღებული მონაცემების საკუთარ საქმიანობაში გათვალისწინებას.

გასვლითი შეხვედრებისას საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა მოქალაქეები მოიწვიეს მაისში დაგეგმილ საჯარო საინფორმაციო შეხვედრებზე, რომელიც №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიაში შედგა (მისამართი ქ, ხობი, ცოტნე დადიანის ქ.№185, მე-3 სართული).

ამომრჩევლებს შესაძლებლობა აქვთ კიდევ უფრო დეტალური ინფორმაცია მიიღონ არჩევნებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ,–თუ რა ხორციელდება იმისთვის, რომ ამომრჩევლებს ყოველთვის ჰქონდეთ შესაძლებლობა ყველასთვის ხელმისაწვდომ გარემოში შეასრულონ საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი.


ხეთა


ჭალადიდი


საჯიჯაო

„უფრო ახლოს“, საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი ინიციატივის სლოგანია, რაც ამომრჩევლებსა და საარჩევნო ადმინისტრაციებს შორის უფრო უშუალო და ეფექტურ კომუნიკაციას გულისხმობს და ამომრჩევლის ინფორმირებასთან ერთად პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანიც არის.

გასვლითი შეხვედრებით საარჩევნო ადმინისტრაცია მიზნად ისახავს, ამომრჩეველი იყოს კარგად ინფორმირებული, იცოდეს საკუთარი საარჩევნო უფლებები, გაიგოს თუ რა კეთდება საარჩევნო პროცესების ეფექტურად განხორციელებისთვის და იცოდეს, რომ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით დახმარების მიზნით ყოველთვის შეუძლია მიმართოს თავის საოლქო საარჩევნო კომისიას.

**დათუნა ჯობავა,**
**№66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.**

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიში

**28 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, სხდომაზე წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონ გოჩა ქაჯაიას ანგარიში „2016 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ“, დადებითად შეაფასა. გთავაზობთ ანგარიშის სრულ ვერსიას.**



## „მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის“

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოსთვის მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს.

2016 წლის 1 იანვრიდან, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ფუნქციონირებს 8 სამსახურის მეშვეობით, ესენია:

1.ადმინისტრაციული სამსახური;

2.საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

3. ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური;



4.ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური;

5. კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;

6.შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური;

7.წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური;

8.შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების განხილვის, შესწავლის, შესაბამისი წინადადებებისა და დასკვნების შემუშავების და სახელმწიფოსგან მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, გამგეობის პასუხისმგებელი პირების, სხვადასხვა სამსახურის მოსამსახურეთა და სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნილია კომისიები და სამუშაო ჯგუფები, რომლის ფარგლებში კოლეგიურად განიხილება გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებული ისეთი საკითხები, რომელთა განხილვა სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენელთა თანამონაწილეობას საჭიროებს, ესენია:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისია;

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი;

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საინვენტარიზაციო კომისია;

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააუქციონო კომისია;

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისია;

6. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისია;

7. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალწლიანი ნარგავების მდგომარეობის შემსწავლელი კომისია;

8. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სალიკვიდაციო კომისია.

9. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიისაგან მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისია;

10. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან არსებული, პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია;

11. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია;

12. ხობის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის მიზნით შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფი.

გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, წარმოგიდგენთ როგორც სამსახურების მიერ წარმოებულ საქმიანობას, მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისათვის, ასევე მათი საქმიანობის შედეგად მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიღწეულ შედეგებს.

მუნიციპალიტეტის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბიუჯეტო შემოსავლები, რომლის მოცულობითაც იგი წლების განმავლობაში გამორჩეული იყო სხვა მუნიციპალიტეტებისგან.

ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების მართვას ახორციელებს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთებას, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, მიზანშეწონილ და ეფექტიან გამოყენებაზე წინასწარი და მიმდინარე კონტროლის დაწესებას, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შესაბამისად ხარჯების გაწევას, შესაბამისი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებით დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 6644,2 ათასი ლარის, ხოლო საგასავლო ნაწილში 6690,6 ათასი ლარის ოდენობით. 2016 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 13861,7 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში - 14633,4 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 6092,5 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია, მათ შორის: დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად–220.0 ათასი ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერი - 2127,7 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა –848,3 ათასი ლარი, ხოლო 2896,5 ათასი ლარი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შედეგებით, შემოსულობების გეგმა შესრულებულია 108,4%-ით (წლიური გეგმა 13861,7 ათასი ლარი, წლიური შესრულება–15027,5 ათასი ლარი, 1165,8 ათასი ლარით მეტი), წლის განმავლობაში საგადასახადო შემოსავლები გეგმიური 7172,7 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 7889,4 ათასი ლარის ოდენობით–716,7 ათასი ლარით მეტი.

სხვა შემოსავლები, 2016 წლის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული 524,6 ათასი ლარიდან შემოსულია 636,4 ათასი ლარის ოდენობით - 111,8 ათასი ლარით მეტი, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის –წლიური გეგმიური 118,8 ათასი ლარიდან შემოსულია 199,3 ათასი ლარი, 80,5 ათასი ლარით მეტი; სანებართვო მოსაკრებელი–წლიური გეგმიური 6,0 ათასი ლარიდან შემოსულია 13,1 ათასი ლარი, 7,1 ათასი ლარით მეტი; შემოსავალი ჯარიმებიდან და სანქციებიდან - წლიური გეგმიური 220,0 ათასი ლარიდან შემოსულია 134,3 ათასი ლარი, 85,7 ათასი ლარით ნაკლები; მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის–წლიური გეგმიური 43,0 ათასი ლარიდან შემოსულია 25,7 ათასი ლარი, 17,3 ათასი ლარით ნაკლები; შემოსავლები მომსახურების გაწევიდან–წლიური გეგმიური 36,8 ათასი ლარიდან შემოსულია 40,5 ათასი ლარი, 3,7 ათასი ლარით მეტი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობების წლიური გეგმა შეადგენდა 71,9 ათას ლარს; შემოსულია 422,2 ათასი ლარი, 350,3 ათასი ლარით მეტი, აქედან: 345,9 ათასი ლარი ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების გაყიდვიდან შემოსავალია, ხოლო 76,3 ათასი ლარი–არამწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან და მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებიდან მიღებული შემოსავალია.

წლიური ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი ათვისებულია 91,6% (წლიური გეგმა–14633,4 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება –13404,2 ათასი ლარი), კერძოდ: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი წლიური გეგმის მიხედვით შეადგენდა 3250,7 ათას ლარს, ათვისებულია 2812,1 ათასი ლარი, აქედან მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯი 637,8 ათასი ლარია, მუნიციპალიტეტის გამგეობის–1969,1 ათასი ლარი, ხოლო 205,2 ათასი ლარი მიიმართა, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად.

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის წლიური გეგმიური 134,1 ათასი ლარიდან, ათვისებულია 123,9 ათასი ლარი–10,2 ათასი ლარით ნაკლები.

ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის წლიური და-

>>>>>>>>>>> 6

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიში

5

ზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 7885,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 7312,6 ათასი ლარი, აქედან: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი 2768,4 ათასი ლარია, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის ხარჯები–2651,1 ათასი ლარი, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაციის ხარჯები–923,1 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსების სახით გახარჯულია 114,7 ათასი ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამით–855,3 ათასი ლარი.

საგანმანათლებლო ღონისძიებების დაზუსტებული წლიური გეგმიური 1616,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 1556,5 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ ხარჯი 1147,4 ათასი ლარია; ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ მიერ ათვისებულია 397,1 ათასი ლარი; ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ ხარჯი - 8,4 ათასი ლარია, ხოლო 3,6 ათასი ლარით ქარიატის საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯია დაფინანსებული.

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების წლიური გეგმიური 1160,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 1089,7 ათასი ლარი, აქედან: სპორტის განვითარების ხელშეწყობა–527,3 ათასი ლარი, კულტურის განვითარების ხელშეწყობა–553,7 ათასი ლარი და რელიგიური და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა–8,7 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის 2016 წლის წლიური დაზუსტებული გეგმიური 585,7 ათასი ლარიდან ათვისებულია 509,4 ათასი ლარი, აქედან: მოსახლეობის ჯანდაცვის პროგრამები 130,1 ათასი ლარია, ხოლო სოციალური პროგრამები–379,3 ათასი ლარი.

ფულადი სახსრების ნაშთმა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 2451,7 ათასი ლარი შეადგინა.

ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად გამგეობა თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მეშვეობით. სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ქონების აღრიცხვა და მისი მართვისა და განკარგვისთვის წინადადებების და სათანადო დოკუმენტაციის მომზადება, სახელმწიფო და ადგილობრივი ქონების გამიჯვნა, რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების ჩატარება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფს თვითმმართველ ერთეულში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას და განხორციელებას, ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი წესების შემუშავებას და განხორციელებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას. წინადადებების შემუშავებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, ადგილობრივი მოსაკრებლების, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე და სხვა ეკონომიკური აქტივობების შესახებ.

განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებისა და რაციონალურად გამოყენების საკითხი. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოდან მიღებული წერილის საფუძველზე ხორციელდება მონიტორინგი ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე და ათვისების საკითხებზე.

ადგილობრივ ბიუჯეტში, ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მოსაკრებლის სახით შემოსულია 49172 ლარი, მათ შორის: ტყის ფონდის მერქნული რესურსების სარგებლობიდან ბიუჯეტში შემოსულია 12414,12 ლარი; წყლის რესურსის სარგებლობიდან–36757,39 ლარი; ქონების გადასახადის სახით, გარდა მიწისა, ბიუჯეტში შემოსულია 2928344.87 ლარი.

აუქციონის ფორმით ხორციელდება მუნიციპალური ქონების გაიჯარება, 2016 წელს გაიჯარებულ იქნა 6 ერთეული ადმინისტრაციული შენობის საოფისე ფართი, რის საფუძველზეც ბიუჯეტში ყოველწლიურად მობილიზებული იქნება 8600 ლარი. გამოცხადებულია და ჩატარებულია აუქციონები, რომლიდანაც ბიუჯეტში შემოსულია 15741 ლარი.

ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 25649,50 ლარი დასუფთავების მოსაკრებლის სახით, მათ შორის იურიდიული პირებიდან–12948 ლარი, ფიზიკური პირებიდან–10655,76 ლარი, მოსახლეობიდან–2045,69 ლარი.

ეკონომიკური პროფილით მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით გამგეობაში მოქმედებს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სტატისტიკის აღრიცხვის განყოფილება. განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის და აგრარული რეფორმების განხორციელების ხელშეწყობას. აგროსასურსათო, აგროგადამამუშავებელი, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიის დარგების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას, სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული მეურნე სუბიექტებისა და დაინტერესებული პირებისთვის დახმარების გაწევას.

2016 წელს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, საგაზაფხულო სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმატებით განხორციელდა. ხობის მუნიციპალიტეტში სახნავი ბარათით ისარგებლა 10503 ბენეფიციარმა. მოხნულიქნა 7457 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აგრობარათზე შესაბამისი ქულები დაერიცხა 3500-მდე ბენეფიციარს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნით, შპს „ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრ „ანასეულის“ თანამშრომლებთან ერთად შესწავლილიქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების მდგომარეობა. შერჩეულიქნა თორსა-ღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაის პლანტაცია, საიდანაც

## „მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის“





აღებულიიქნა მიწის სინჯები, ჩაის კულტურის შემდგომი რეაბილიტაციისთვის.

მუნიციპალიტეტში მეაბრეშუმეობის განვითარება-ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივ ფერმერებსა და დაინტერესებულ პირებს უსასყიდლოდ გადაეცათ 1050 ძირი თუთის ხის ნერგი.

სახელმწიფო რწმუნებულის –გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსული წერილების შესაბამისად მომზადდა წერილები ლატვიის რესპუბლიკის დაუგავპილსის მხარესთან, პოლონური კომპანია „RONOR“-თან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფერმერებთან სასოფლო-სამეურნეო ბაზრის თავისებურებების შესწავლის, გაცვლითი პროგრამების და პროფესიული გამოცდილების მიზნით შემდგომი თანამშრომლობის შესახებ.

სახელმწიფო რწმუნებულის –გუბერნატორის განკარგულების საფუძველზე, სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს მთავარ სპეციალისტებთან ერთად, ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქის საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცოფის სალიკვიდაციო გეგმის შესაბამისად გატარდა შემდეგი ღონისძიებები: მოხდა ცოფით დაავადებული მაწანწალა ძაღლის იზოლირება და ლიკვიდაცია. ვეტერინარულ-სანიტარული წესების დაცვით ჩაუტარდა უტილიზაცია ცოფით დაინფიცირებული ცხოველის ლეშს. იძულებით ვაქცინაციას დაექვემდებარა ყველა სახეობის ცოფის ამთვისებელი ცხოველი. მოხდა აცრილი ცხოველების იზოლირება. შესაბამის სამსახურებთან ერთად პერიოდულად ტარდებოდა მონიტორინგი.

სამსახურმა ხობის სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო სამსახურთან ერთად მონაწილეობა მიიღო სიმინდის მოსავლიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის განხორციელებაში: საჯიჯაოს, ახალი ხიბულის, პირველი მაისის, პატარა ფოთის, ახალსოფლის, ხეთის, ზემო ქვალონის, ქვემო ქვალონის, ნოჯიხევის და ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მავნებლების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად ადმინისტრაციული ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს გადაეცათ შხამქიმიკატი ინსექტიციდი „ალპაკი-100“.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული სატყეო სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურისგან, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის №547 ბრძანების საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობას მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადმოეცა: პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში 42,6 კუბური მეტრი ჭადრისა და ვერხვის ხეები, ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში 116,5 კუბური მეტრი თხმელის მორები, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების 220-კვ-იანი „კოლხიდა-2“-ის უსაფრთხო ექსპლოატაციისათვის 93-95 და 98-103 მალებში სპეციალური ჭრების შედეგად გადმოგვეცა კოლხეთის ტერიტორიაზე დასაწყობებული 75 კუბური მეტრი კრიპტომერიისა და 10 კუბური მეტრი ალვის ხის მორები, რომელიც, უსასყიდლოდ გადანაწილდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 7, სოციალურად დაუცველ ბენეფიციარზე.

სამსახური აქტიურად არის ჩართული გამგებელთან შექმნილ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში, რაც გამოიხატება ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარებაზე. კომისიაში 2016 წლის განმავლობაში სულ შემოსულია 98 განცხადება, ყველა მათგანი განხილულია და მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები.

გამგეობის საქმიანობის ერთ-

7

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიში

6

ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. ამ სფეროში, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებიდან ძირითადი დატვირთვა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურზე მოდის.

სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადებას, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას.

სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ:

2016 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა 1 909,4 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის:

1. ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭითაუშქურში წყალსადენი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები–499,5 ათასი ლარით, მათ შორის თანადაფინანსება 24,9 ათასი ლარი (აღნიშნულ სამუშაოებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებულ იქნა 20,2 ათასი ლარი და სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 519,7 ათასი ლარი);

2. ხობის №1 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები –336,9 ათასი ლარი. მათ შორის თანადაფინანსება 16,8 ათასი ლარი;

3. კულტურულ საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნა–254,9 ათასი ლარი, მათ შორის, თანადაფინანსება–12,7 ათასი ლარი (მიმდინარეობს სამუშაოები–პროექტი არის გარდამავალი)

4. ქალაქ ხობში ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოები–569.3 ათასი ლარი, მათ შორის თანადაფინანსება - 28,5 ათასი ლარი;

5. ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის აღდგენა–248.8 ათასი ლარი, მათ შორის, თანადაფინანსება–12,4 ათასი ლარი (მიმდინარეობს სამუშაოები–პროექტი არის გარდამავალი)

6. გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მეორე გურიფულში ნაპირსამაგრის მოწყობა. პროექტის ღირებულებამ 917,7 ათასი ლარი შეადგინა.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 835,99 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, კერძოდ:

1. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვის სამუშაოები–64,9 ათასი ლარი;

2. მუნიციპალიტეტის მინი სტადიონების მოვლა-შენახვის სამუშაოები–14,4 ათასი ლარი;

3. ქვემო ქვალონის ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები - 32,7 ათასი ლარი;

4. ხობის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნის მეორე ეტაპის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–14,0 ათასი ლარი;

5. ქალაქ ხობში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–3,4 ათასი ლარი;

6. ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მეწყრული პროცესებით დაზიანებული მონაკვეთის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 0,04 ათასი ლარი;

7.ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის სარეაბილიტაციო და ეზოს შემოკავების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–1,5 ათასი ლარი;

8. ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქუჩა №185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის შესასვლელი კარების სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 0,10 ათასი ლარი;

9. ქალაქ ხობში კულტურის სახლის წინ მდებარე სკვერის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–0,15 ათასი ლარი;

10. ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქუჩა №202-ში განთავსებული ადმინისტრაციული შენობის ფასადის, მიმდებარე ტერიტორიის, ბილბორდის, წარწერების, სკვერისა და დეკორატიული ღობის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 0,80 ათასი ლარი;

11. გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მეორე გურიფულში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე ზედამხედველობის მომსახურება - 5,38 ათასი ლარი;

12. საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯაპიშაქარში ცხაურის რეაბილიტაციის მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–0,04 ათასი ლარი;

13. საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზენში ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და პროექტის ექსპერტიზის შედგენა–5,9 ათასი ლარი;

14. ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გიმოზგონჯილში ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და პროექტის ექსპერტიზის შედგენა–8,2 ათასი ლარი;

15. ქ. ხობში კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და პროექტის ექსპერტიზის შედგენა–3,4 ათასი ლარი;

16. ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ოხვამეკარში სასაფლაომდე მისასვლელი გზის ბეტონით მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და პროექტის ექსპერტიზის შედგენა–2,3 ათასი ლარი;

17. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭიხუში სასაფლაომდე მისასვლელი გზის ბეტონით მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და პროექტის ექსპერტიზის შედგენა–0,3 ათასი ლარი;

18. სოფელ ბიის წყალმომარაგების ქსელის ჰიდრავლიკური ტესტირებისა და დეზინფექციის სამუშაოები–2,5 ათასი ლარი;

19. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის წყალსადენი სისტემის დაქსელვისა და სათაო ნაგებობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და პროექტის ექსპერტიზის შედგენა - 56,4 ათასი ლარი;

20. ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მეწყრული პროცესებით დაზიანებული მონაკვეთის სარემონტო სამუშაოები–1,4 ათასი ლარი;

21. ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ დურღენას საბავშვო ბაღის მესამე ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 57,6 ათასი ლარი;

22. შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ სტადიონზე არსებული გასახდელი შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები–8,3 ათასი ლარი;

23. ჭალადიდის ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო და ეზოს შემოკავების სამუშაოები–26,6 ათასი ლარი;

24. ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქუჩა №185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის შესასვლელი კარების სარემონტო სამუშაოები–2,1 ათასი ლარი;

## „მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის“





25. ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელის სარემონტო სამუშაოები–3,8 ათასი ლარი;

26. საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯაპიშაქარში არსებული ცხაურის სარემონტო სამუშაოები–1,3 ათასი ლარი;

27. ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძის ქუჩაზე გზის დაზიანებული (დამეწყრილი) მონაკვეთის აღსადგენად დროებითი ღონისძიების გატარების სამუშაოები–8.7 ათასი ლარი;

28. ზემო ქვალონის, ქვემო ქვალონისა და პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მოსახლეობის სასმელი წყლის ჭაბურღილების ლაბორატორიული გამოკვლევა–1,6 ათასი ლარი;

29. ქ. ხობში სტალინის ქუჩა №6-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები–36.4 ათასი ლარი;

30. ქ. ხობში კულტურის სახლის მიმდებარე სკვერის სარემონტო სამუშაოები - 2,3 ათასი ლარი;

31. ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქუჩა №202-ში განთავსებული ადმინისტრაციული შენობის შენობის ფასადის, მიმდებარე ტერიტორიის, ბილბორდის, წარწერების, სკვერისა და დეკორატიული ღობის სარემონტო სამუშაოები–28,0 ათასი ლარი;

32. ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში არსებული რაჰიპ მამედოვის ძეგლისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალისა და მიმდებარე ტერიტორიის სარემონტო სამუშაოები–5,0 ათასი ლარი;

33. ქ. ხობში საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის (გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა) სამუშაოები–43,0 ათასი ლარი;

34. ქ. ხობში საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის (სტალინის ქუჩა) სამუშაოები–22,1 ათასი ლარი;

35. ქ. ხობში საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის (კოსტავას ქუჩა) სამუშაოები–27,8 ათასი ლარი;

36. ქ. ხობში საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის (ცოტნე დადიანის ქუჩა, ყოფილი სპორტსკოლის/ინტერნატის შენობის მიმდებარე ტერიტორია) სამუშაოები–31,6 ათასი ლარი;

37. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში ქუჩების კეთილმოწყობის (ცემენტ-ბეტონის საფარი) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ექსპერტიზა - 8,8 ათასი ლარი;

38. პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პატარა ფოთში ქუჩების კეთილმოწყობის (ცემენტ-ბეტონის საფარი) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა ექსპერტიზის შედგენა - 16,5 ათასი ლარი;

39. ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ

8

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიში

7




დურღენას საბავშვო ბაღის მესამე ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–1,9 ათასი ლარი;

40. შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ სტადიონზე არსებული გასახდელი შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–0,3 ათასი ლარი;

41. ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალგაზრდული ცენტრის შექმნის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის მომსახურება–4,8 ათასი ლარი;

42. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობიდან მიმდებარე შენობებში (ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. №202-ში განთავსებული ადმინისტრაციული შენობის 4 ოთახში და ქ. ხობის კულტურის სახლის 4 ოთახში (ცოტნე დადიანის ქ. №187) ციფრული საკომუნიკაციო სისტემის გადაყვანისა და ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის მომსახურება–0,8 ათასი ლარი;

43. ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნოჯიხევში №2 საბავშვო ბაღის შემოღობვისა და ჭიშკრის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–0,2 ათასი ლარი;

44. ქ. ხობის ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტება) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის მომსახურება–10,6 ათასი ლარი;

45. ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ოხვამეკარში სასაფლაომდე მისასვლელი გზის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები–106.6 ათასი ლარი.

46. ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ბონდის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები–139.0 ათასი ლარი;

47. ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მოქალაქეთა მისაღებში ფანჯრებისა და კარის სარემონტო სამუშაოები–0,8 ათასი ლარი;

48. ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–0,08 ათასი ლარი;

49. ქ. ხობში სტალინის ქუჩა №6-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–1,0 ათასი ლარი;

50. ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში არსებული რაჰიპ მამედოვის ძეგლისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალისა და მიმდებარე ტერიტორიის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–0,2 ათასი ლარი;

51. ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძის ქუჩაზე გზის დაზიანებული (დამეწყრილი) მონაკვეთის აღსადგენად დროებითი ღონისძიების გატარების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–0,2 ათასი ლარი;

52. ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭითაუშქურში წყალსადენი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 20,2 ათასი ლარი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, 2016 წელს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილ იქნა 848.3 ათასი ლარი.

პროგრამით მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა 718,0 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები (სულ 78 პროექტი, მათ შორის 4 გარდამავალი), მათ შორის:

1. შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია: ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული - 1 ობიექტი, ბიის ადმინისტრაციული ერთეული–2 ობიექტი, პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული–2 ობიექტი, ზემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული–3 ობიექტი, თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეული–3 ობიექტი, ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეული–4 ობიექტი, საგვიჩიოს ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეული–2 ობიექტი, ქარიატის ადმინისტრაციული ერთეული–2 ობიექტი, ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული–4 ობიექტი, ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეული–2 ობიექტი, ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეული–3 ობიექტი, ხეთის ადმინისტრაციული ერთეული–4 ობიექტი. სულ ოცდაცამეტი ობიექტი–296,6 ათასი ლარის ღირებულებით;

2. ხიდებისა და ხიდ-ბოგირების სარეაბილიტაციო სამუშაოები: ზემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, ხეთის ადმინისტრაციული ერთეული–2 ობიექტი. სულ ოთხი ობიექტი–30,7 ათასი ლარის ღირებულებით;

3. სასაფლაოების კეთილმოწყობის (შემოღობვა) სამუშაოები: პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, ყულევის ადმინისტრაციული ერთეული–2 ობიექტი, შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეული–2 ობიექტი. სულ ხუთი ობიექტი–48,3 ათასი ლარის ღირებულებით;

4. სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოები: ბიის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, გურიფულის ადმინისტრაციული ერთეული–2 ობიექტი, ზემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული - 1 ობიექტი, ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, პირველი ხორგის ადმინისტრაციული ერთეული - 1 ობიექტი, ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული–3 ობიექტი, ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეული–2 ობიექტი, ხეთის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი. სულ თოთხმეტი ობიექტი–122,1 ათასი ლარის ღირებულებით;

5. წყლის სისტემის რეაბილიტაცია: ხეთის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი. სულ ერთი ობიექტი–4,5 ათასი ლარის ღირებულებით;

6. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულები; ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეული–2 ობიექტი, შავღელეს ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი. სულ ექვსი ობიექტი–112,5 ათასი ლარის ღირებულებით;

7. სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია: ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული - 1 ობიექტი, ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი. სულ ორი ობიექტი –20,9 ათასი ლარის ღირებულებით;

8. ადმინისტრაციული ცენტრები (სკვერები, მემორიალები): ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, ხეთის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი. სულ ოთხი ობიექტი–36,1 ათასი ლარის ღირებულებით;

9. მოსაცდელების მოწყობა: საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეული–3 ობიექტი. სულ სამი ობიექტი–15,9 ათასი ლარის ღირებულებით;

10. წისქვილების მოწყობა: ბიის ადმინისტრაციული ერთეული–2 ობიექტი. სულ ორი ობიექტი–14,2 ათასი ლარის ღირებულებით.

11. ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა: პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული–1 ობიექტი, სულ ერთი ობიექტი –16,3 ათასი ლარის ღირებულებით.

სამსახური ზედამხედველობას უწევდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს; კერძოდ, ზედამხედველობის განყოფილების მიერ გაიცა 31 ნებართვა მშენებლობაზე, მშენებლობის შეთანხმებაზე–16 დოკუმენტი, გამოვლინდა არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის 5 და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 1 ფაქტი. კერძოდ: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის თვითნებური მიტაცების ფაქტზე, რის გამოც დამრღვევის მიმართ გამოყენებულ იქნა კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

სამსახური, ასევე კოორდინაციას უწევდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის რეგულირებას. სამსახურის წინადადებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება მგლის 6 და ტურის 10 ინდივიდის ბუნებიდან ამოღების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით შეიქმნა მონადირეთა 9 ჯგუფი. გატარებული ღონისძიებების შედეგად ამოღებულიქნა მგლის ორი ინდივიდი.

გარდა სხვადასხვა პროფილის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული კუთხით მუნიციპალიტეტში განხორციელებული საქმიანობისა და მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა, არანაკლები ყურადღება ეთმობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტისა და ძეგლთა დაცვის ღონისძიებებს, რასაც გამგეობა კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეშვეობით ახორციელებს.

## „მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის“

კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნოთ ის მთავარი ნიუანსი, რაზედაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებს მთავარ აქცენტს. ნებისმიერ სფეროში და განსაკუთრებით კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროში პრიორიტეტად შერჩეულ იქნა ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა ამ სფეროში მოღვაწე მოქალაქეებს, ახალგაზრდობას, ბავშვებს მიეცეს საშუალება უფრო მეტად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვრცლად ვისაუბრეთ, მაგრამ მიზანშეწონილად ვთვლით ყურადღება გავამახვილოთ ამ სფეროების ცალკეულ ობიექტებზე.

კულტურის სახლის შენობა, რომელიც თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, წლების განმავლობაში საჭიროებდა სათანადო ყურადღებას. განვლილ წლებში მუნიციპალიტეტში შემუშავდა „კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“ ჩამოყალიბების პროექტი, რომლის ფარგლებში განსაზღვრულია კულტურის, სკოლისგარეშე და ხელოვნების სფეროში განათლების მიღებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა ერთიან სივრცეში. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან პროექტი დაფინანსდა 800 ათასი ლარით. პროექტის პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა და შენობა სრულად გადაიხურა, გამოიცვალა ელექტროსისტემა, ასევე სრულად გამაგრდა ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი კულტურის სახლის ფასადის ბარელიეფი, რომლის სამაგრი სისტემა კოროზიისგან მთლიანად იყო ამორტიზირებული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი. რეაბილიტაციის პროექტის დასრულების შემდეგ ხობს განახლებული „კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“ ექნება.

12 აგვისტოს ტრადიციულად ჩატარდა საეკლესიო-სახალხო დღესასწაული „ცოტნეობა“. დღესასწაულზე მაყურებლის

9

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიში

8

წინაშე ადგილობრივ შემსრულებლებთან ერთად, რეგიონის ფოლკლორული ანსამბლები, ანრი ჯოხაძე, დათო არჩვაძე, სოფო ბედია და „ქართული ხმები“ წარსდგნენ.

ფოლკლორის ეროვნულმა ცენტრმა სალოტბარო სკოლას გადმოსცა ხალხური საკრავები და სანოტო კრებულები–როგორც ხალხური სიმღერის, ასევე საგალობლების პროგრამული კრებული.

პროექტის „ინტერნეტი ყველა ბიბლიოთეკას“ შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა მიზნობრივი ჯგუფების კომპიუტერული ტექნიკით, სკანერითა და პრინტერით უზრუნველყოფას, შესაძლებელი გახდა ჭალადიდის, პირველი მაისისა და ხამისკურის სათემო ბიბლიოთეკების სათანადო აღჭურვა.

მომზადდა და რეგიონის პროექტების მართვის სამსახურს მიეწოდა პროექტი „ხეთის ჯიხა (ქორთოძეების ციხე)“ რეგიონის ტურისტული გზამკვლევი. რომლის ბიუჯეტი მოიცავს 40 ათას ლარს და ითვალისწინებს ციხის შიდა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას, მუნიციპალიტეტისა და რეგიონის ისტორიული და ტურისტული ძეგლების შესახებ საინფორმაციო ბანერების განთავსებას, ციხის შიდა ეზოსა და წყაროს, ღია მარნის კეთილმოწყობას.

მდინარე ხობის მარცხენა ნაპირზე სოფელ ბიის საშონიოს უბანში დაფიქსირდა, მცირე ზომის ეკლესია, რომელიც განვითარებული ფეოდალური ხანის პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს. ეკლესიას პერანგი შემოძარცული აქვს, ირგვლივ ფიქსირდება სხვადასხვა პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა მუშაობა ხობის მუნიციპალიტეტის ისტორიული ძეგლების ისტორიის დადგენის მიზნით სამეცნიერო დაწესებულებებში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, საპატრიარქოს არქივში მოპოვებული მასალები გამოყენებული იქნება ხობის მუნიციპალიტეტის შესახებ ბეჭდური გამოცემისათვის. ხობის მონასტრის და ჯეგეთის წმინდა გიორგის არქიტექტურული კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით სამსახურმა განახორციელა არაერთი სამუშაო შეხვედრა საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების საბჭოსა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს მეცნიერ თანამშრომლებთან. საანგარიშო პერიოდში დაიწყო ხობის მონასტრის საკათალიკოსო სასახლის აღდგენა, რომლის არქეოლოგიური გათხრებისათვის აუცილებელი სამუშაოები დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. აღსანიშნავია, რომ ხობის მონასტერში, საკათალიკოსო სახლის აღდგენა-რესტავრაციის პარალელურად მიმდინარე არქეოლოგიურმა კვლევებმა დამატებითი ინფორმაციული ველი შექმნა, რაც მოითხოვს ასევე მეცნიერულ გააზრებას, გაწმენდითი სამუშაოების დროს, სასახლის შიგნით ფიქსირებულ იქნა სხვადასხვა პერიოდის არტეფაქტები. საკითხის შესწავლის მიზნით, მოწვეულ იქნენ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი–არქეოლოგი რევაზ პაპუაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორები: თამარ ნემსაძე და რუსუდან გურამიშვილი. სასახლის დიდი დარბაზის პირველ სართულზე დაფიქსირდა ადრექრისტიანული ხანის კიბეებიანი მონუმენტური ნაგებობის ნაშთები, რომელიც დგას წინარე ქრისტიანული პერიოდის კულტურულ ფენებზე.

## „მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის“

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მდგომარეობის შემოწმების მიზნით დათვალიერებულიქნა ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტები. ძეგლების მდგომარეობა, განსაკუთრებით არქეოლოგიური ობიექტებისა არ შეცვლილა, რაც შეეხება მიწისზედა ძეგლებს გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს ხეთაში საქირიოს უბანში მდებარე წმ. კვირიკეს სახელობის ეკლესია, რომელსაც ხალხი „ჩეოხვამეს“ უწოდებს, ხეთაში „კორცხოს“ უბანში არსებული წმ. თეოდორეს სახელობის ეკლესია და სოფელ პირველ მაისში წმ. სოფიოს ეკლესია.

2016 წლის 12 ოქტომბრიდან 4 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა მოცულობითი, ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოები ხობის მონასტრის ეზოში. აღმოჩნდა, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში და, სავარაუდოდ უფრო ადრეც, ხობის მონასტრის ტერიტორიაზე უკვე უნდა არსებულიყო ციხე ქალაქის ტიპის დასახლება, რომელიც გალავნის შიგნით და გალავნის გარეთ არსებულ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. ცხოვრების კვალი ხელსაყრელ ადგილმდებარეობის გამო აქ შორეულ წარსულში ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში იღებს სათავეს (რაც არქეოლოგიურადაც დასტურდება). შემდგომ ხანებში კი, დროის სხვადასხვა ინტერვალში, მიუხედავად მრავალი ნგრევისა, იგი მაინც ახერხებდა აღდგენას და ასე მოვიდა დღემდე.

კულტურისა და განათლების სფეროს განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა და მნიშვნელოვანი აქტივობით გამოირჩევა სპორტის სფერო.

სასკოლო-სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის 21 სკოლამ, ხოლო სპორტულ ასპარეზობებში ჩაბმული იყო 645 მოსწავლე. გაიმარჯვა 9 გუნდმა–58 ნორჩმა სპორტსმენმა. სპორტის სახეობების მიხედვით, საჯარო სკოლების გამარჯვებული გუნდების სპორტული ფორმებით უზრუნველსაყოფად გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ჯეო სპორტთან“.

ივნისში ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 62 ახალგაზრდა. ტურნირის საორგანიზაციოდ გაიხარჯა 1138 ლარი.

საერო საეკლესიო დღესასწაულის „ცოტნეობის“ ფარგლებში სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში, ნარდსა და ჭიდაობაში.

მოსახლეობის ინტერესი ლელობურთისადმი განსაკუთრებულია. სპორტის ეს ძირძველი სახეობა ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და მისი აღდგენა-პოპულარიზაციის საქმეში აქტიურად არის ჩაბმული. ყოველწლიურად ტარდება მუნიციპალიტეტის პირველობა ლელობურთში, იზრდება მონაწილეთა რაოდენობა.

ტრადიციულად, წლის ბოლოს გამოვლინდენ წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები. საპრიზო ფონდი შეადგენდა 6500 ლარს. საზეიმო ცერემონიალზე დაჯილდოვდა 8 წარმატებული სპორტსმენი და 6 მწვრთნელი.

საახალწლო დღეებში ხობს ესტუმრა ფოლკლორული ანსამბლი „ურსა“, რომლის საკონცერტო პროგრამამ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. საახალწლო პროგრამით წარდგნენ სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების აღმზრდელები და აღსაზრდელები. საახალწლო ღონისძიებები ჩატარდა სამუსიკო სკოლასა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზში. საჯიჯაოს და ქვემო ქვალონის კულტურის სახლებში წლის განმავლობაში ჩატარდა რამდენიმე საინტერესო ღონისძიება, რაც ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის ინტერესსა და მოწონებას იმსახურებს.




ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესწავლას, სოციალური და ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და შესაძლებლობის ფარგლებში, მათთვის სათანადო დახმარების გაწევას. ამ კუთხით, გამგეობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის მეშვეობით.

მუნიციპალიტეტში ერთიანი სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა, 2016 წელს 419080 ლარით განისაზღვრა, აქედან სოციალური პაკეტი–389200 ლარით, ხოლო ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტი–29880 ლარით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სოციალური პაკეტი გაიზარდა 65000 ლარით და საანგარიშო პერიოდისთვის 430690 ლარი შეადგინა.

სოციალური პაკეტით ერთჯერად ფულად დახმარებებზე გათვალისწინებული იყო 55000 ლარი, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისიაში შემოვიდა 1300 განცხადება. საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ, 540 მოქალაქეზე გაიცა 53980 ლარის ფულადი დახმარება.

საოპერაციო დახმარების სახით, 237 ავადმყოფზე გაიცა 115000 ლარის საგარანტიო წერილი;

329 ახალშობილზე გაიცა 47100 ლარი, აქედან: პირველ და მეორე ბავშვზე–100 ლარი, ხოლო მე-3 და ზევით, თითოეულზე–300 ლარი, ასეთი იყო 71 ახალშობილი;

მრავალშვილიანთა დახმარების სახით, სარვამარტოდ ბიუჯეტიდან დაფინანსდა 68 ოჯახი, 10200 ლარით;

უმწეოთა სასადილო დაფინანსდა 57000 ლარით, სადაც დღეში 1-ჯერ იკვებება 120 ბენეფიციარი;

სარვამარტოდ, 100 წელს გადაცილებულ ერთ ქალბატონს პირად ანგარიშზე ჩაერიცხა 150 ლარი;

უმწეო კატეგორიის 80 ოჯახს, წყლის საფასურის სუბსიდირებისთვის ჩაერიცხა 7089 ლარი;

სოციალურად დაუცველ 21 ოჯახზე, სახლების სარეაბილიტაციოდ გაიცა 37500 ლარი;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 7 ბავშვზე (0-18 წლამდე) გაიცა 3414 ლარის თანადაფინანსების საგარანტიო წერილი;

დიალიზზე მყოფი 14 მოქალაქის სატრანსპორტო ხარჯის ასანაზღაურებლად გადაირიცხა 15600 ლარი;

აფხაზეთის ომში დაღუპულთა 15 ოჯახზე გაიცა ერთჯერადი ფულადი თანხა, თითოეულ ოჯახზე–200-200 ლარი;

8 აგვისტოს ომში დაღუპულთა 9 ოჯახზე გაიცა 1800 ლარი;

ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილე 15 პირზე გაიცა 1500 ლარი;

ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულ 42 ოჯახს ჩაერიცხა 26761 ლარი;

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, 4 ვეტერანს ჩაერიცხა 600 ლარი, თითოეულს 150-150 ლარი.

C ჰეპატიტით ინფიცირებულთა პირველადი გამოკვლევების თანადაფინანსების მიზნით 168 ინფიცირებულზე გაიცა 36053 ლარის საგარანტიო წერილი;

C ჰეპატიტის გამოვლენის მიზნით თორსის, ძველი ხიბულის და ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულებში დამატებით ჩატარდა ექსპრეს ანალიზი. გამოკვლევებმა აჩვენა რომ ინფიცირებულთა მაჩვენებელი მაღალია.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 4000-მდე იძულებით

10

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიში

9

გადაადგილებული პირი. მათ შორის 1766 კომპაქტურადაა ჩასახლებული, ხოლო 2234 კერძო სექტორში ცხოვრობს. იძულებით გადაადგილებული პირები ადგილობრივი მოსახლეობის მსგავსად, თანაბრად სარგებლობენ სოციალური დახმარების და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამებით.

ადგილობრივი თვითმმართველობა, ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში ჯანდაცვის დამატებითი ექიმამდელი დახმარების პროგრამას ახორციელებს. პროგრამა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა და მისი ბიუჯეტი 29880 ლარს შეადგენს. სახელმწიფო პროგრამის გარეშე დარჩენილ ადმინისტრაციულ ერთეულებში, მოსახლეობა საექიმო და ექიმამდელი დახმარებას იღებს. 2016 წელს, აღნიშნული პროგრამით 6500-მდე ბენეფიციარმა ისარგებლა.

ადგილობრივ თვითმმართველობას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა, სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებული აქვს სხვადასხვა უფლებამოსილების განხორციელების უფლება. მათ შორისაა მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა და წვევამდელთა გაწვევის ორგანიზება. რომელსაც გამგეობა ახორციელებს წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მეშვეობით. სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას, მობილიზაციასა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2016 წლის იანვარ-აპრილში განხორციელდა 1999 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთხოვილიქნა 1999 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სახელობითი სიები (ფორმა №1). პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვან 1999 წელს დაბადებულ ჭაბუკთა საერთო რაოდენობამ მოწოდებული ფორმა №1-ის მიხედვით შეადგინა 205 ჭაბუკი. შესაბამისად, სამსახურის მიერ შედგენილიქნა 1999 წელს დაბადებულ ჭაბუკთა საერთო სახელობითი სია (ფორმა №2). ასევე თითოეულ ჭაბუკზე შეიქმნა პირადი საქმე სათანადო დოკუმენტაციითურთ. პარალელურად შეიქმნა 1999 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ანბანური წიგნი. სამართალდამცავი ორგანოებიდან და სამედიცინო დაწესებულებებიდან გამოთხოვილიქნა იმ ჭაბუკთა სახელობითი სია, რომლებიც იმყოფებიან აღრიცხვაზე.

2016 წლის 30 აპრილს დასრულდა 1999 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა. აღრიცხვაზე აყვანილია 194 ჭაბუკი. მათ შორის აფხაზეთიდან დევნილი–8 ჭაბუკი. ასევე პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 1991 წელს დაბადებული 1 წვევამდელი, რომელიც წლების განმავლობაში არ იყო გამოცხადებული ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში.

# „მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის“

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, 2016 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულიქნენ 18–დან 27 წლამდე ასაკის ის მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების, ან მისი გადავადების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საანგარიშო წელს გაწვეულია 67 წვევამდელი. მათ შორის: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში გაწვეულია 7 წვევამდელი; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტში გაწვეულია 4 წვევამდელი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ დანაყოფებში გაწვეულია 24 წვევამდელი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში–31 წვევამდელი; არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში–1 წვევამდელი.

ზღვრული ასაკის შესრულების გამო მეორე თანრიგის რეზერვში ჩაირიცხა 105 წვევამდელი. კანონით დადგენილი შეღავათი გაუფორმდა 168 წვევამდელს. მათ შორის: 60 სტუდენტს, 85 სკოლის მოსწავლეს, 8 ორი შვილის მშობელს, 11 დედისერთას, 4 ერთი შვილის მშობელს, შვილის შეძენის დღიდან 3 წლის ვადით. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, 1 წლამდე ვადით გადავადება მიეცა 30 წვევამდელს. სამხედრო სამსახურისათვის შეზღუდულად ვარგისად ცნობილ იქნა 57 წვევამდელი; განთავისუფლდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან–2 წვევამდელი; გაიგზავნა გამოკვლევაზე 4 წვევამდელი;

სამსახურის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 81 რეზერვისტი. სხვადასხვა მიზეზების გამო სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა 317 რეზერვისტი. შინაგან საქმეთა სამმართველოდან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული მომართვების საფუძველზე სპეცაღრიცხვაზე გადაყვანილია 16 რეზერვისტი. ზღვრული ასაკის გამო აღრიცხვიდან მოიხსნა 282 რეზერვისტი. გარდაიცვალა 8 რეზერვისტი. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჟ-1 და შ-1 სამმართველოებიდან მიღებული მომართვების საფუძველზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაწვეულია 13 რეზერვისტი, აქედან 2 წვევამდელი. გაცემულია საქართველოს რეზერვისტის 98 დროებითი მოწმობა.

წინამდებარე ანგარიშში გაანალიზდა გამგეობის იმ სამსახურების საქმიანობა, რომლებიც გამგეობაში შექმნილია დარგობრივი პრინციპით და რომელთა საქმიანობა უშუალოდ აისახება მუნიციპალიტეტსა და მის მოსახლეობაზე. რაც შეეხება გამგეობის შიდა სამ-



სახურებრივ საქმიანობას და გამგეობის სამსახურების საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, მას ახორციელებს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური, სადაც აღირიცხება და ფიქსირდება გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მონაცემები თითოეულ მიმართულებაზე, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსამსახურეების საქმიანობის კონტროლს ახორციელებს გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

ადმინისტრაციული სამსახური ახორციელებს გამგეობის საქმიანობის ორგანიზაციულ, ანალიტიკურ, საინფორმაციო, სამართლებრივ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. მისი ძირითადი ფუნქციაა გამგეობაში ერთიანი საქმისწარმოების, საკადრო საკითხთა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საქმიანობას სამართლებრივი უზრუნველყოფა, გამგეობის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა ფუნქციებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობათა შესრულებისთვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, გამგეობის კავშირურთიერთობების ორგანიზება საზოგადოებასთან და დაწესებულებებთან.

მუდმივი სამუშაო დატვირთვით და გამგეობის სამსახურებთან ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში ურთიერთობის კუთხით გამოირჩევა საქმისწარმოების განყოფილება, რომლის საქმიან დოკუმენტაციაშიც აისახება გამგეობის სამსახურების მიერ წარმოებული თითოეული სამუშაო პროცესი.

საქმისწარმოების განყოფილება 2015 წლის ოქტომბრიდან დოკუმენტების მიღებას, დამუშავებას, დამისამართებას და გაცემას ახორციელებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მეშვეობით, ხოლო 2016 წლის მარტიდან მოქალაქეთა განცხადებები სოციალურ ფულად დახმარებებთან დაკავშირებით რეგისტრირდება ახალ სისტემაში–მუნიციპალური მართვის სისტემის (მმს) მეშვეობით. ხსენებული მართვის ავტომატიზებული სისტემები დანერგილია სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში, რომლის განხორციელებისას ხობის მუნიციპალიტეტი შერჩეულ იქნა ერთ-ერთ საპილოტე მუნიციპალიტეტად.

გამგეობის საქმისწარმოების პროცესში, მართვის ავტომატიზებული სისტემების მეშვეობით, 2016 წლის განმავლობაში რეგისტრირებულია 14139 დოკუმენტი, მათ შორის: 6639 შემოსული კორესპონდენცია (მათ შორის: 5279 დესით, 1360 მმს-ით), 2132 შიდა კორესპონდენცია და 3536 გასული კორესპონდენცია. განყოფილების მოსამსახურეთა მხრიდან გამგეობის მოსამსახურეებთან სისტემატურად ხორციელდება სათანადო კონსულტაციები და დახმარებები ელექტრონული საქმისწარმოების პროცესში.

ადმინისტრაციული სამსახურის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება გამგეობის სამსახურებისა და მოსამსახურეებისთვის სათანადო სამუშაო გარემოს შექმნა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა და ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფაა. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული გამგეობის საქმიანობის პროცესში მოსამსახურეთათვის სათანადო პირობების შექმნისათვის, რაც გამოიხატება არამარტო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით სათანადო აღჭურვისთვის მიმართული საქმიანობით, არამედ, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით სიახლეების დანერგვის ორგანიზებითაც, რაც აშკარად გამოიკვეთა ელექტრონული მმართველობის დანერგვის პარალელურად ადმინისტრაციულ შენობაში სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობისა და გამგეობის სამსახურების სრული ტექნიკური აღჭურვის პროცესში. ამ კუთხით, უკანასკნელ წლებში განხორციელებული ღონისძიებებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ერთ-ერთი მოწინავე დაწესებულებაა მეზობელ მუნიციპალიტეტებს შორის. ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ასევე ყურადღება მახვილდება სამუშაო ოთახებში არსებულ მდგომარეობაზე საოფისე ინვენტარის არასაკმარისობისა და არსებულის გამოუსადეგარობის კუთხით და პერიოდულად, შესაძლებლობის ფარგლებში ასევე მუშავდება წინადადებები ცალკეული სამუშაო ოთახების საოფისე ინვენტარით აღჭურვის თაობაზე.

ადმინისტრაციულ შენობაში გამგეობის სამსახურებისთვის სათანადო პირობებისა და ესთეტიკური და მიმზიდველი გარემოს შექმნისათვის აუცილებელი საქმიანობის გარდა, ასევე ყურადღება გასამახვილებელია ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ შენობანაგებობებზე. ამ კუთხით 2015-2016 წლებში განსაკუთრებული მიდგომა განხორციელდა ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსებული ადმინისტრაციული შენობის მიმართ, სადაც მოქალაქეთა სახელმწიფო სერვისებით მომსახურება ხორციელდება და ობიექტს მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დანიშნულება გააჩნია. შენობაში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით, განხორციელებული სამუშაოების შედეგად, შეკეთდა დაზიანებული სახურავი, ჭერი, კედლები და კარები, აღდგენილია შიდა განათება და დამატებულია ჟალუზები. სასურველია, პერიოდულად და ეტაპობრივად ასევე მოწესრიგდეს

11

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიში

10

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ყველა ადმინისტრაციული შენობა, რისთვისაც მნიშვნელოვანი საბიუჯეტო რესურსები იქნება საჭირო და თავისთავად ერთბაშად ვერ განხორციელდება.

უნდა აღინიშნოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესაბამისად, უკანასკნელ წლებში განხორციელებული საქმიანობა საჯარო კონკურსებისა და ზოგადად ადამიანური რესურსების მართვის კუთხით. მომზადდა სათანადო დოკუმენტაცია და 2016 წლის განმავლობაში სამ ეტაპად განხორციელდა საჯარო კონკურსები გამგეობის მოხელეთა 24 ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა დასანიშნად. ჩატარებული კონკურსები საკრებულოსთან და ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედ კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით მაღალ დონეზე ჩატარდა. კანონმდებლობით გათვალისწინებული ახალი რეგულაციების ფარგლებში, სამსახურის მიერ დამუშავდა მასალები ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა 2017 წლის სასწავლო გეგმის განსასაზღვრად და განხორციელდა მოხელეთა სწავლების საჭიროებების იდენტიფიცირება–შედგა ტრენინგ-საჭიროებათა განსაზღვრისთვის განკუთვნილი მონაცემთა ბაზები, რომლის საფუძველზეც მომზადდა შესაბამისი გეგმის პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

2016 წელს კარდინალურად შეიცვალა არსებული მდგომარეობა საკადრო დოკუმენტაციის კუთხით და გარდა სამსახურში მატერიალურად დაცული საკადრო დოკუმენტაციისა, დაიწყო სამუშაოები მათი ელექტრონული ვერსიების შესაქმნელად. მიმდინარე საქმიანობის პარალელურად, საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციებით, მითითებებითა და კოორდინაციით, გამგეობაში დაინერგა ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა (eHRMS), რომელშიც, 2106 წლის ფარგლებში მოსამსახურეთა პირადი საქმეების დიდი ნაწილი ელექტრონულად არის ატვირთული. პარალელურ რეჟიმში შედგა სამუშაო შეხვედრები გამგეობის სამსახურებთან საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციებით შემოთავაზებული სამუშაოს აღწერილობების შესადგენად. დამუშავდა სამუშაოს ანალიზის კითხვარები, სამუშაოს აღწერილობის ფორმები. გამგეობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინებით, გამგეობის ყველა სამსახურიდან გამოთხოვილიქნა მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ფუნქცია-მოვალეობების განახლებული ვერსიები სამუშაოს აღწერილობების შესადგენად, რაც დამუშავდა და გამგებლის სამართლებრივი აქტით დამტკიცდა გამგეობის მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მოსამსახურეთა სამუშაოთა აღწერილობები (თანამდებობრივი ინსტრუქციები). მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის ამოქმედებამდე, გამგეობის მოსამსახურეთა სამუშაოს აღწერილობები სრულად აისახება ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში.

სამსახურის საქმიანობის პროცესში განსაკუთრებით უნდა

## „მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის“

აღინიშნოს სახელმწიფოსგან მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში წარმოებული საქმიანობა, კერძოდ:

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით, ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს დაეკისრათ დაბადების (თუ ბავშვი დაიბადა სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე) რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის, პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენისა და პირის გარდაცვალების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის ვალდებულება.

გამგებლის წარმომადგენლებთან და ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებულ გამგეობის სპეციალისტებთან შედგა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მათ განემარტათ მათთვის დაკისრებული ახალი ფუნქციები და ვალდებულებები და მიეცათ რეკომენდაციები და მითითებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახორციელებელი პროცედურების შესახებ. დარიგდა შესაბამისი სამართლებრივი აქტები, განმარტებები და სამუშაო ფორმები, რის შემდგომაც ახალი ფუნქციების პერიოდულ და სისტემატურ რეჟიმში განხორციელების დაწყებამდე, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, 2 თვეში მოძიებულ იქნა, დაზუსტდა და მომზადდა ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბადებული და გარდაცვლილი პირების შესახებ. განხორციელებული შრომატევადი სამუშაოების შედეგად, სამსახურის უშუალო კოორდინირებითა და კონტროლქვეშ, გამგებლის წარმომადგენლების მიერ მომზადდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ 847 ოქმი (1694 ფურცელი) და წარედგინა სსიპ–სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხობის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს. უკანასკნელი 2 წლის მონაცემებზე კანონმდებლობით დროის მცირე მონაკვეთში (2 თვის ფარგლებში) განსახორციელებელი სამუშაოების დასრულების შემდგომ, მსგავსი დოკუმენტაცია გამგებლის წარმომადგენლების მიერ, სისტემატურ რეჟიმში წარედგინება შესაბამის ორგანოს, შესაბამისი ფაქტის დადგომის მომენტისთვის.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილების საფუძველზე, გამგეობაში შეიქმნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან არსებული, პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია, რომელშიც აქ-


ხობის ცენტრალური სტადიონი 2017

ტიურად მონაწილეობენ სამსახურის მოსამსახურეები. 2016 წლის განმავლობაში, გამგეობაში შემოსული მოთხოვნების შესაბამისად, განხილულ იქნა 3 პირის მოთხოვნა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პერიოდის ფარგლებში საქართველოში ცხოვრების ფაქტის დადგენის შესახებ და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებისა და დოკუმენტაციის მომზადების შემდგომ, ფაქტის დადგენის შესახებ, ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეობის დადგენის მიზნით გაიგზავნა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.

სამუშაოს მოცულობის, შრომატევადობისა და საპასუხისმგებლო საქმიანობის კუთხით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესი, რომლის ფარგლებშიც, სახელმწიფო პროექტის მიმდინარეობის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი 2 თვის საჯარო ანგარიშის წარდგენისას, პროექტის ფარგლებში გამორჩეული აქტივობებისა და საჯარო რეესტრთან საკუთარი მოსახლეობის ინტერესში თანამშრომლობის მაღალი ხარისხის გამო ხობის მუნიციპალიტეტი დასახელდა 6 მოწინავე მუნიციპალიტეტს შორის, ხოლო მოგვიანებით გამგეობას, სახელმწიფო რწმუნებულს–გუბერნატორს, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული პროექტების კოორდინაციის დეპარტამენტის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურს გაეგზავნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მადლობის წერილი, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, კერძოდ: 2016 წლის 1 აგვისტოდან საანგარიშო წლის განმავლობაში, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენის მიზნით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან სულ შემოსულია 125 კორესპონდენცია, რომელთა განხილვის პროცესში, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობა დადასტურდა 99, ხოლო არ დადასტურდა 26 შემთხვევაში. შესაბამისად, შედგენილია სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების 125 ოქმი და გამოცემულია გამგებლის წარმომადგენლების 99 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი–ბრძანება, რაც სათანადო დოკუმენტაციასთან ერთად გადაგზავნილია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. მიწის ნაკვეთების იდენტურობის დადგენის მიზნით ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობების გარდა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პროექტის ფარგლებში მოქალაქეთა საკუთრების უფლების დადგენის მიზნით შემოსულია 150-მდე წერილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების შემადგენლობის, ქონებისა და გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის შესახებ 2007 წლამდე მდგომარეობით, რაზედაც შესაბამისი ინფორმაცია გამოთხოვილიქნა გამგებლის წარმომადგენლებიდან და გაგზავნილია სათანადო პასუხები. პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ორგანოებისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოძიების ხელშეწყობისა და გასული ათწლეულების დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, გამგებლის წარმომადგენლებს მიეცათ დავალება და მოძიებულიქნა და შეგროვდა ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული დოკუმენტაცია 2007 წლამდე არსებული საკომლო წიგნებისა და მიწის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტების სახით, რაც გადაეცა საქართველოს ეროვნული არქივის ხობის ადგილობრივ წარმომადგენელს.

უნდა აღინიშნოს საინფორმაციო უზრუნველყოფის კუთხით გატარებული საქმიანობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე აქტივობების გაშუქება. ასევე, ხობის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის ფუნქციონირების საკითხი, რომლის გაუმჯობესების მიზნით, ინფორმაციულად უფრო დატვირთულად და ვიზუალურად და თემატურად მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად დაწყებულია სათანადო წინადადებების მომზადება. მიზნად ვისახავთ, ვებ-გვერდზე სრულად აისახოს არამარტო ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურა და მისი საქმიანობა, არამედ, სრულად მოიცვას მუნიციპალიტეტში არსებული სახელმწიფო, ადგილობრივი, თუ კერძო სტრუქტურების სამოქმედო სფეროები, მათი მიზნები და ამო-

12

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიში

11

ცანები. უფრო მეტად საჯარო გახდეს თუნდაც თითოეულ უწყებაში დასაქმებული მოსამსახურის ვინაობა და მათი საქმიანობა... და ყველაზე მთავარი: შესაძლებლობის ფარგლებში სრული ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებას როგორც მუნიციპალიტეტის ამჟამინდელი ცხოვრების შესახებ, ასევე მისი ისტორიისა და გეოგრაფიული ღირსშესანიშნაობების თაობაზე. ამ კუთხით უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები და 2016 წლის მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება წინა წლებისაგან ინფორმაციული უზრუნველყოფისა და გამგეობის ვებ-გვერდის და სოციალური გვერდის აქტივობის კუთხით.

ადმინისტრაციული სამსახურის საქმიანობიდან მეტად საპასუხისმგებლო ფუნქციას წარმოადგენს გამგეობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება გამგებლის და საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სამსახურების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების ექსპერტიზა და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება, იურიდიული დასკვნების მომზადება და საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვა სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

2016 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ, ან სამსახურის უშუალო მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 1832 ბრძანება (მათ შორის: პირადი შემადგენლობის შესახებ–609 ბრძანება, საფინანსო საკითხების შესახებ - 131 ბრძანება, ქონების განკარგვის შესახებ–15 ბრძანება, სანებართვო პირობების შესახებ–66 ბრძანება, სოციალური დახმარების შესახებ–886 ბრძანება, სამხედრო ვალდებულებების შესახებ–52 ბრძანება, არაკლასიფიცირებული საკითხების შესახებ - 73 ბრძანება.

საკრებულოს განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინა სამსახურის მიერ, ან სამსახურის თანამონაწილეობით გამგეობის სამსახურების მიერ მომზადებული საკრებულოს დადგენილების 22 პროექტი და საკრებულოს განკარგულების 50 პროექტი. სხვადასხვა სახის სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო გამოიცა 53 იურიდიული დასკვნა პირგასამტეხლოს დაკისრების ან პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ. სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მოსამსახურეები საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ინტერესებს იცავდნენ და მონაწილეობდნენ სასამართლო განხილვებში.

გარდა გამგეობის სამსახურებისა და ადგილობრივი ორგანიზაციებისა, არაერთ მოქალაქეს და ორგანიზაციას მიუღია სამართლებრივი განმარტება და დახმარება სხვადასხვა სახის პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. ამ კუთხით მუშაობა და საზოგადოებასთან და ორგანიზაციებთან კავშირურთიერთობა სისტემატურ ხასიათს ატარებს და სხვადასხვა თემატიკასთან შეხება თვით მოსამსახურეთათვისაც მეტი გამოცდილების მიღების გარანტიაა.

გარდა გამგეობის სამსახურების მიერ განხორციელებული, ანგარიშში ჩამოთვლილი საქმიანობისა, მათ კომპეტენციას მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინირება და კონტროლი, რომლის ფარგლებშიც 2016 წლის განმავლობაში განსაკუთრებული მიდგომა იქნა გამოხატული. პერიოდულად მუშავდება წინადადებები მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და შესაბამისი სფეროების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის მისაღები დადებითი შედეგების გაზრდისათვის.

## „მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების კეთილდღეობისთვის“



2016 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 7 იურიდიული პირი:

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“

შპს „ხობის მოამბე“

შპს „ხობი დასუფთავება და განათება“

ზემოთ ჩამოთვლილი იურიდიული პირების საქმიანობით მიღებული შედეგები ასახულია ამ იურიდიული პირების ანგარიშებში, ხოლო მათ საქმიანობაში სისტემატური ჩართულობაა გამგეობის შესაბამისი სამსახურებიდან.

განსაკუთრებით შრომატევადი მუშაობა წარიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიული პირების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საქმისწარმოების პროცესში. დიდი ძალისხმევის შედეგად მოწესრიგდა იურიდიული პირების სარეგისტრაციო მონაცემებში განვლილ წლებში არსებული ხარვეზები, რომლის შემდგომაც, კანონმდებლობის შესაბამისად მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესდებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ და საკრებულოს მხრიდან მისი დამტკიცების შემდგომ გამოიცა გამგებლის ბრძანებები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ახალი წესდებების დამტკიცების შესახებ. წლის დასასრულისთვის, გამგეობის სამსახურების ერთობლივი მუშაობის შედეგად მომზადდა სათანადო წინადადებები, დოკუმენტაცია და სამართლებრივი აქტების პროექტები ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ რეორგანიზაციისა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნების შესახებ. ასევე, შპს „ხობის მოამბეს“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პროცესში სისტემატური და საქმიანი კონსულტაციები და მიმოწერა განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, რომლის შედეგად, საბოლოო ჯამში, წინასწარ დაგეგმილი საქმიანობა წარმატებულად და ხარვეზების გარეშე წარიმართა.

ანგარიშში აღწერილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და შიდა კონტროლის მიზნით, როგორც აღვნიშნეთ, გამგეობაში შექმნილია შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

სამსახურის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფა და კანონიერება, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობის ხარჯვისა და გამოყენების კანონიერება, მიზნობრიობის დაცვა და ეფექტიანობის გაზრდა.

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სამი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხუთი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტორული შემოწმება, კერძოდ: 2016 წლის ფარგლებში შემოწმებულია ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“, ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანსდაცვის ცენტრი“, შპს „ხობი დასუფთავება და განათება“, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური, გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური, გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური და გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური

სამსახურმა, ასევე, განახორციელა გაწეული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. გარდა ამისა, შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური მუშაობს კონტროლის კუთხით. კერძოდ, ამოწმებს გამგეობასა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურეობრივ კონტროლს.

გამგეობის საქმიანობის პროცესში ხშირია საკონსულტაციო და სარეკომენდაციო ხასიათის შეხვედრები და სატელეფონო საუბრები, ასევე ინფორმაციის მოთხოვნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან, საქართველოს იუსტიციისა და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებიდან, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციიდან, სხვადასხვა სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციიდან. მიღებული ინფორმაციები და გაწეული რეკომენდაციები ანალიზდება და გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად ყალიბდება ერთიანი აზრი სამომავლოდ გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე.

მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნდეს კომპეტენციების ფართო სპექტრი, რაც საშუალებას მოგვცემს ადგილობრივ დონეზე ოპერატიულად მოგვარდეს მათთვის აქტუალური საკითხები. ამის საშუალებას იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის მიხედვითაც გარდა თვითმმართველობებისთვის ადრე მინიჭებული უფლებამოსილებებისა, მათ გადაეცა ფუნქციები ისეთი სფეროების რეგულირებისა, როგორიცაა დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერა და ტურიზმის განვითარება, სოციალური დახმარების, ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა.

თითოეული საქმე დიდი შრომის შედეგად არის მიღწეული, რომელშიც აქტიურად იყო და არის ჩართული საზოგადოების ფართო სპექტრი და სამომავლო საქმიანობაც მსგავსი პრინციპების გათვალისწინებით იგეგმება.

ჩვენი მიზანია მაქსიმალურად ავამოქმედოთ და გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების შემდგომი განვითარებისთვის და ამ მიზნების განხორციელებისათვის მაქსიმალური ხელშემწყობი გარემო შევქმნათ.

***გოჩა ქაჯაია***

***ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.***

17მაისი–არტერიული ჰიპერტენზიის მსოფლიო დღე!

# „თავიდან აიცილე ინფარქტი, ინსულტი, აკონტროლე წნევა!“

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია არტერიული ჰიპერტენზიის კონტროლის და პრევენციის მიზნით, ყოველწლიურად აღნიშნავს არტერიული ჰიპერტენზიის მსოფლიო დღეს, რომელიც 17 მაისს ჩატარდა. ამ ღონისძიების მიზანია, მოსახლეობაში, განსაკუთრებით რისკ-ჯგუფებში არტერიული ჰიპერტენზიის თავიდან აცილებისა და მართვის შესახებ ცოდნის გაზრდა, ცნობიერების ამაღლება და უფრო მეტად ჩართვა არტერიული ჰიპერტენზიის სკრინინგში.

არტერიული ჰიპერტენზია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. ხშირად ეს კლინიკური მდგომარეობა უსიპტომოდ მიმდინარეობს, ბევრმა არ იცის საკუთარი წნევის ციფრების შესახებ და ასევე ისეთი სისხლძარღვოვანი გართულებების პერსონალური რისკების შესახებ, როგორიც არის თავის ტვი-



ნის ინსულტი, გულის კუნთის ინფარქტი, თირკმლის ქრონიკული დაავადება და უეცარი სიკვდილი.

პროექტი „მისი გაზომვების თვე“ პირველი გლობალური ინიციატივაა სკრინინგის მიმართულებით და დაგეგმილია 25 მილიონი ადამიანის ჩართვა სკრინინგულ გასინჯვებში. აღნიშნულ ღონისძიებებს უერთდება საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზოგადოება, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

არტერიული ჰიპერტენზიის პროფილაქტიკისთვის ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ ძირითად მიმართულებაზე. წნევის კონტროლი, გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკის გაცნობიერება, დროული გამოვლენა და დროული მკურნალობა ექიმის დანიშნულებით და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდაზე. მოსახლეობას უნდა მივცეთ რჩევები და რეკომენდაციები ჰიპერტენზიის სწორი მართვის, მისგან გამოწვეული გართულებების თავიდან აცილების შესახებ.

ჰიპერტენზია მეტად საყურადღებო და საშიში პათოლოგიაა. ეს არის ქრონიკული მდგომარეობა, რომლის დროსაც სისხლის წნევა იმატებს. 140/90-ზე და ამაზე მაღალი მაჩვენებელი მაღალ წნევად ანუ არტერიულ ჰიპერტენზიად ითვლება. მსოფლიოში ხუთიდან ორ ზრდასრულ ადა-

14

## ლიდერი

# „დააკაკუნე და გაგეღება“



ბედნიერებაა, როცა საკუთარ თავს აღმოაჩენ, რასაც ეძებ იმას პოულობ და მერე ცდილობ სხვებსაც აპოვნინო ...

ძნელია, იყო პირველი, ვინც დაიწყებს, მაგრამ აუცილებლობა იყო, უნდა დაწყებულიყო სრულიად უცხო იდეებთან შეჭიდება და ეს ინიციატივა ქალებს უნდა განეხორციელებინათ, როცა საზოგადოებაში არსებობს ქალების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება, მაგრამ იცვლება თვით საზოგადოების აზრი,როცა შედეგი დადებითია და მდგრადი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანისთვის შეუძლებელი არაფერია. მთავარია მიზანი და მისი განხორციელებისთვის ბრძოლა–ბრძოლის ნებისყოფა ქალებს ნამდვილად აქვს, რომლის დამადასტურებელია თორსის ქალთა საინიციატივო ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები.

თორსის ქალთა საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბდა 2013 წელს გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ დაფინანსებით მიმდინარე „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“–„ქალთა გაძლიერება ცვლილებებისთვის“, ასოციაცია „ათინათთან“ პარტნიორობით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროექტებში დონორი ორგანიზაციის მხრიდან იყო მოთხოვნა პროექტში ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა ყოფილიყო ფულადი თანამონაწილეობის სახით, რაც სამივე შემთხვევაში წარმატებით განახორციელა ადგილობრივმა ხელისუფლებამ. რომ არა მათი მხარდაჭერა, ჯგუფი ვერ შეძლებდა, როგორც ჯგუფად ჩამოყალიბებას, ასევე პროექტების განხორციელებასაც. ჯგუფის მიზანი ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაა, თორსის და მის მიმდებარე თემებში ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესება, საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივოვების განხორციელებით.

ჯგუფის შექმნის შემდეგ თემის ნეგატიური იერი შეიცვალა უკეთესობისკენ, რადგან ჯგუფის ინიციატივით განხორციელებული პროექტები ყველა მიმართული იყო სოფელში ინფრასტრუქტურის და საგანმანათლებლო სისტემის გასაუმჯობესებლად.

ასე მაგალითად, მოწესრიგდა სათემო ბიბლიოთეკის ორი ოთახი და აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით და ინტერნეტით. პროექტის ფარგლებში კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა მცირე დარბაზს, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის შეხვედრების, ღონისძიებების და კრებებისთვის.

სოფელში გარემოს დაცვის მიზნით იყო სავალალო მდგომარეობა, მაგრამ 2016 წ. ჯგუფის მიერ განხორციელებულმა პროექტმა „სიცოცხლე გარემოს“ მნიშვნელოვნად შეცვალა არსებული მდგომარეობა.

პროექტის ფარგლებში მოხერხდა; სოფელში შესასვლელი 3კმ.გზის მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება ეკალ-ბარდებისგან და ნარჩენებისგან. საინფორმაციო ბანერების და თერთმეტი ერთეული ნაგვის ურნის განთავსება. უახლოეს ხანში გარემოს დაცვის მიზნით განხორციელდება ვიდეოთვალის დამონტაჟებაც.

პროექტის ფარგლებში და პროექტის დასრულების შემდეგ, ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი სამსახურის პატრონაჟით, ყოველ კვირას ნარჩენების გატანა უზრუნველყოფილია.

ჯგუფის მიერ შემუშავებული მიზნიდან ირკვევა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სოფლის მოსახლეობასთან თანამშრომლობა პრიორიტეტულია, რადგან იქმნება ბირთვი არასამთავრობო,სამთავრობო და თემის სახით, რომელსაც შეუძლია სოფელში ბევრი პრობლემა მოაგვაროს. აქედან გამომდინარე, ჯგუფი ცდილობს ხელი შეუწყოს მსგავს კომუნიკაციებს სხვადსხვა თემებში, რომლის ფარგლებში ჯგუფი გეგმავს ერთობლივ შეხვედრებს, სადაც ხდება პროექტების,სამოქმედო გეგმების დაგეგმვა-განხორციელება.

2014 წლიდან ჯგუფს განხორციელებული აქვს თორსის თემში ხუთი პროექტი.

სამი პროექტი დაფინანსებულია გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ მისივე დაფინანსებით მიმდინარე „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ–„ქალთა გაძლიერება ცვლილებისთვის“, ასოციაცია „ათინათთან“პარტნიორობით და ადგილობრივი ხელისუფლების თანადაფინანსებით.

აღნიშნული პროექტები ითვალისწინებდა, როგორც საგანმანათლებლო, ასევე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

* ორი პროექტი დაფინანსდა თორსის საბავშვო ბაღში ფონდი „ტასოს“„თანაზიარის“ და „საქართველოს წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის“ მოძრაობის მიერ.

* 2014წლიდან ჯგუფს ასევე განხორციელებული აქვს 100 სხვადასხვა აქტივობა ოთხი თემის ჩართულობით: სხვადასხვა ხასიათის ბროშურების დაბეჭდვა-გავრცელება; ძალადობაზე დოკუმენტური. ანიმაციური ფილმების ჩვენება-დისკუსია; მიგრაციულ საკითხებთან დაკავშირებით საიას წარმომადგენლის მოწვევა; ნაადრევი ქორწინების პრევენცია; ექიმის, იურისტის და ფსიქოლოგის მოწვევა ერთდროულად. ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია და ა.შ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ოთხ თემში ხანდაზმულ პედაგოგებისადმი მიძღვნილი დღეების განხორციელება, რომლის ფარგლებში თორსის, ხეთის, ხამისქურის და პირველი მაისის თემში მცხოვრებ 27 პედაგოგს გადაეცა ბატონი გოდერძი ბუკიას მიერ დაწესებული საჩუქარი–წიგნი „სიბრძნის ენციკლოპედია“.

* ჯგუფი თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორიცაა: „კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება“;

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“; ასოციაცია „ათინათი“; ასოციაცია „მერკური“; „ეკოვიჟენი“; „საქართველოს მწვანეთა კავშირი-დედამიწის მეგობრები“; საია, ფონდი „ტასო“.

რეაბილიტაციისა და განვითარების ცენტრი „თანაზიარი“.

„საქართველოს წითელი ჯვრის და ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოება“.

ჯგუფის ხელშეწყობით განხორციელდა ხეთის, თორსის და პირველი მაისის საჯარო სკოლების ჩართულობა პროექტში „სკოლის ახალგაზრდული ჯგუფების მხარდაჭერა ეფექტური და მდგრადი გადაწყვეტილებებისთვის“, რომელსაც ა/ორგანიზაცია „world vision საქართველო“ ახორციელებს.

ამ პროექტში ის ლიდერი ბავშვები არიან ჩართული, რომლების ჯგუფთან უკვე თანამშრომლობენ. სამივე თემის ჯგუფების მიერ დაიწერა მცირე ინიციატივები და პასუხის მოლოდინში არიან.

თანამედროვე საქართველოს რეალობიდან გამომდინარე სოფლებში ნაკლებად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობის, ფართის არარსებობის და სხვადასხვა ნეგატიური მიზეზების გამო.

ჯგუფის აქტიური მუშაობის შედეგია შედარებით მაღალი ჩართულობის მაჩვენებელი თორსის თემში, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასურველია, აღებული ტემპის შენარჩუნება და გაძლიერება, ამიტომ ჯგუფი პროექტების, გეგმების დაგეგმვამდე ერთობლივი შეხვედრებს ატარებს ოთხი თემის ახალგაზრდებთან, სადაც ხდება შეფასება წინა სამოქმედო გეგმით განხორციელებული საქმიანობების.

შეხვედრაში მონაწილე ყველა ახალგაზრდა ერთხმად აღიარებს, რომ ბევრი მუშაობით, პრობლემების მოძიებით და პრობლემის აქტუალურობის განსაზღვრით/არგუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან, ა/ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა. მთავარი პრინციპი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარების არის აქტიურობა.

ჯგუფის მიერ ოთხ თემში ახალგაზრდების ჩართულობამ ხელი შუწყო მათ გააქტიურებას და ინტეგრირებას საზოგადოებაში, ახალი უნარ-ჩვევების და მეგობრული კავშირების ჩამოყალიბებას.

პროგრამა „ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის“ ფარგლებში, ორგანიზაცია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა ტრენინგების ჩატარებას ქალთა საინიციატივო ჯგუფის წევრებისთვის, რომელიც არის ჯანსაღი შესაძლებლობა, რათა ჯგუფის წევრებმა მიღებული ინფორმაცია გაავრცელონ სოფლის საზოგადოებაში და სოფელი არ იმყოფებოდეს ინფორმაციის ვაკუუმში.

ყველა ზემოთჩამოთვლილი აქტივობების განხორციელებას მოხალისეობრივად ახდენს ცხრა ქალისგან ჩამოყალიბებული საინიციატივო ჯგუფი, მათთვის სოფელში არსებული პრობლემები პრიორიტეტულია.

რომ არა ერთობლიობა, რომელშიც მოისაზრება სოფლის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელი,სოფლის დეპუტატი, მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური და სხვა სამსახურები წარმატებული და მომავალზე გათვლილი პროექტები ვერ განხორციელდებოდა.

ქალთა საინიციატივო ჯგუფი განაგრძობს მუშაობას და სამომავლო გეგმებიც ბევრი აქვს, რომლებსაც ჩვენს მკითხველს ეტაპობრივად მივაწვდით.

მინდა საზოგადოებას მივმართო, რომ აქტიურობა გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. ნუ დაველოდებით სხვას პრობლემის მოგვარებაში. საკუთარ სოფელში არსებული პრობლემებიც ისევე უნდა გვაწუხებდეს, როგორც პირადი, რადგან სხვანაირად ვერ აშენდება სახელმწიფო და ვერასდროს მივაღწევთ მიზანს, რადგან როგორც იტყვიან, დაკეტილ კარზე თუ დავაკაკუნებთ, გაგვიღებენ.

***გვანცა კიკალეიშვილი,***
**თორსის ქალთა საინიციატივო ჯგუფის ლიდერი.**

17 მაისი–არტერიული ჰიპერტენზიის მსოფლიო დღე!

# „თავიდან აიცილე ინფარქტი, ინსულტი, აკონტროლე წნევა!“

13 ⟵ მიანს მაღალი წნევა აქვს, ჰიპერტენზიით ყოველწლიურად 1,5 მილიარდი ადამიანი ავადდება და შვიდი მილიონი კვდება. საქართველოშიც ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა. ყოველი 10 გარდაცლილიდან ხუთის სიკვდილი ჰიპერტენზიას უკავშირდება. აღმოჩნდა, რომ ჰიპერტენზიით დაავადებულთა უმრავლესობა ხუთიდან სამი არ მკურნალობს. გარდა მაღალი წნევისა, ინფარქტის და ინსულტის განვითრებას ხელს უწყობს არაჯანსაღი კვება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, ჭარბი წონა, სისხლში ქოლესტერინისა და შაქრის მაღალი დონე, თამბაქო და სხვა.

რატომ უნდა აკონტროლოს ადამიანმა არტერიული წნევა?–წნევის ციფრების ცოდნა ჰიპერტენზიის ადრეულად გამოვლენაში გვეხმარება, მაღალი წნევის დასადგენად ერთადერთი გზა წნევის გაზომვაა, წნევის გასაზომად საჭიროა სათანადო წესების მკაცრი დაცვა და შემოწმებული წნევის აპარატი. თუ თქვენი წნევის ციფრები არ იცით, მიმართეთ ექიმს.

შესაძლებელია თუ არა არტერიული ჰიპერტენზიის თავიდან აცილება?–თავიდან აცილებაც შესაძლებელია და მკურნალობაც. იმისათვის, რომ მაღალი წნევა თავიდან აიცილოთ, მიიღეთ ნაკლები მარილი, ერიდეთ მარილიან საკვებს, მიირთვით მეტი ხილი და ბოსტნეული. ერიდეთ ტკბილეულს, ცომეულსა და ცხოველურ ცხიმს, ერიდეთ ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებას. მეტი იმოძრავეთ და ივარჯიშეთ რეგულარულად, თავი დაანებეთ თამბაქოს წევას, ერიდეთ მის კვამლს, წნევის კონტროლი გულისხმობს მისი მაჩვენებლების 140/90-ზე დაბალი დონის შენარჩუნებას და სხვა რისკ-ფაქტორების შემცირებას. გაითვალიწინეთ მედიკამენტების მიღება დიდხანსაა საჭირო, ხშირად მთელი სიცოცხლის განმავლობაშიც კი.

თუ უკვე დადგენილი გაქვთ არტერიული ჰიპერტენზია, მედიკამენტებით მკურნალობა უნდა ჩაიტაროთ რეგულარულად და ხანგრძლივად. მკურნალობის თვითნებური შეწყვეტა, თუნდაც წნევის ნორმალური მაჩვენებლების დროს, არ შეიძლება.

არტერიული ჰიპერტენზიის პრევენციისთვის სხვა ღონისძიებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეულ დიაგნოსტიკას და დროულ კვალიფიციურ მკურნალობას.

***ჯუმბერ ტურავა,***

***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.***

საუბარი თინეიჯერთან



*ის მიზანსწრაფული, ფიზიკურად მოხდენილი ჭაბუკია. ახალი იდეებით მოაზროვნე, ნაკითხი, სიკეთითა და სიხალისით სავსე.*

*ხეთელი სანდრო ნარსიას გაცნობა და მასთან გასაუბრება დიდიხანია მსურდა, მაგრამ მიზეზთა სხვათა გამო, ვერ შევძელი. მასზე ბევრი მსმენია, რომ სანდრო ბუნების დიდი ქომაგია, რომ მას სურს წვლილი დაიდოს კოლხური ბზის გადარჩენაში.*

*როგორც იქნა, მისი და მის მიერ გამოყვანილი ბზების ნახვა შევძელი. თუმცა, მორიდებით, მაგრამ გვისაყვედურა, რატომ „ხობის მოამბე“ ადრე არ დაინტერესებულა მისი საქმიანობით.*

*კოლხური ბზის მოშენება სანდროს დიდი გატაცებაა. მან კარგად იცის, რომ კოლხური ბზა ბზისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, რომ ის მარადმწვანე ბუჩქნარი ან ხეა, რომ ეს კულტურა კოლხური ტყეების ერთ-ერთი დომინანტი სახეობაა და უძვირფასეს სამერქნე მცენარედ ითვლება. რომ ბზა გადაშენების პირას დგას და საქართველოს „წითელ წიგნშია“ შეტანილი. მან, როგორც ბუნების ქომაგმა, გაითავისა ამ ძვირფასი მცენარის გადაშენების საშიშროება და გადაწყვიტა მისი შველა.*

*როგორც სკოლაში გავიგე, ის წარმატებული მოსწავლეა, უყვარს ბუნების წიაღში მოგზაურობა, კითხვა და როგორც ყველა, მისი თაობის თინეიჯერს, მასაც იტაცებს კომპიუტერი, საინტერესო ამბებისა და სიახლეების ძიება.*

*ახალი გატაცება ხელს არ უშლის სწავლაში. ის საჭიროების დროს ბზებთანაა. სანდრო მეთერთმეტე კლასშია. წინ სკოლის დამამთავრებელი წელი და უმაღლესი სასწავლებელი უხმობს. არჩევანის გაკეთებაზე უკვე ფიქრობს, მობილიზებულია გახდეს გეოლოგი. წინააღმდეგობებს არ უშინდება.*

*დავათვალიერეთ მისი პაწაწინა ნარგავები. ნერგები ამჟამად გარეთ, ღია გრუნტებში აქვს გადმოტანილი. ერთ ნაკვეთზე 90 ცალი „ბინადრობს“, მეორეში 600-მდე ბზის ნერგია. რამდენიმე ნაკვეთზე ბზის ნათესებიც ვნახეთ. ზოგი დათბილული, ზოგიც ღიად მყოფი. სანდრომ კარგად იცის ბზას როგორი ნიადაგი უყვარს და ცდილობს ისე „გამოკვებოს“, რომ მცენარეს გაზრდა გაუადვილოს. ცნობისთვის, ბზა ძალზე ნელა მზარდი მცენარეა. მასზე ბევრს კითხულობს და მობილიზებულია, მიზანს მიაღწიოს.*

*მე მხოლოდ ისღა დამრჩენია, წარმატებები ვუსურვო ყველგან და ყველა საქმეში.*

*გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.*

# კოლხურ ბზაზე მოამაგე

***ვინ ხართ და საიდან მოდიხართ?***

–სანდრო ნარსია ვარ. 16 წლის, სოფელ ხეთიდან. ხეთის საჯარო სკოლის XI კლასში ვსწავლობ, ჩემი მშობლები არიან ელიკო ფაჩულია და დათო ნარსია. ისინი თბილისში გადავიდნენ სამუშაოდ. მყავს და ნანო, ბებიები ნათელა ნარსია და მერი გოგუა.

***როდიდან დაიწყეთ ბზაზე ფიქრი და ზრუნვა? ეს თვითონ მოიფიქრეთ თუ თანამოაზრეებიც გყავდათ?***

–2015 წლის ბოლოსთვის ჩვენი სკოლის რამდენიმე მოსწავლე მასწავლებელ ნონა მარ-



გველანთან, დირექტორ მანანა ბაძაღუასთან და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის, ამავე ორგანიზაციის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის კოორდინატორის ქალბატონ მაია კოდუას ინიციატივითა და ორგანიზებით ურთის მთაზე შევაგროვეთ კოლხური ბზის თესლი, რომელიც ამჟამად შენახულია საქართველოს ეროვნული ბოტანიკური თესლის ბანკში. ჩვენი სკოლა კი ერთადერთია, რომელმაც კოლხური ბზის თესლი შეაგროვა. სახელიც კოლხური ბზის მეშვეობით გავითქვით. ურთის მთაზე არსებულმა ვითარებამ ჩვენი აღშფოთება გამოიწვია. ძალიან დაგვაინტერესა კოლხური ბზის წინაშე არსებულმა პრობლემებმა. რამდენიმე ხანში რეგიონის მუნიციპალიტეტების და სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების მონაწილეობით, (ვის კომპეტენციაშიც შედიოდა აღნიშნული საკითხები), ჩატარდა საგანგებო სხდომა, რომელსაც როგორც სკოლის წარმომადგენელი, მე, მასწავლებელი ნონა მარგველანი და მოსწავლე თეონა კუტალია ვესწრებოდით.

საგანგებო სხდომაზე ჩვენი რეგიონის წარმომადგენლებს გავაცანით ჩვენი გამოცდილება ამ პრობლემის გადაჭრის თაობაზე, ვისაუბრეთ კოლხური ბზის გადასარჩენად ჩატარებულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებზე, რის გამოც ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მხრიდან (ბატონი ანგული მიქავა), არაადეკვატური შეფასება მივიღეთ, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები კი ჩატარებული ღონისძიებებისთვის მადლობას გვიხდიდნენ.

***...და რა, როგორ დაიწყო და გაგრძელდა?***

–რამდენიმე ნაკადად სკოლაშიც დავაკალმეთ ბზის ტოტები, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ, სკოლაში არ გაამართლა. გადავწყვიტე ამ საქმის კეთება მარტოს წამომეწყო და ასეც მოხდა.

2016 წლის შემოდგომის დასაწყისისთვის აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან არსებულ სოფელ რუხში გაიხსნა ამიერკავკასიაში პირველი საბაზისო სანერგე მეურნეობა, სადაც ბზის 35000-მდე ტოტია დაკალმებული. აღნიშნული სანერგე მეურნეობა მე ქალბატონ ნანა ჯანაშიასთან, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის აღმასრულებელ დირექტორთან და აფხაზეთის



ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე ბატონ ვახტანგ ყოლბაიასთან ერთად გავხსენი.

დღეს ჩემს სანერგეში რთული ვითარებაა. გარემო პირობებმა ძალიან იმოქმედა ბზის დაკალმებულ ტოტებზე. ზამთარში მათი განთავსება ცუდი გამოდგა, რადგან ტემპერატურა ძალიან დაბალი და ტენიანობა მაღალი იყო. საჩითილე მასალების გარეთ, ღია სანერგეში გამოტანაც ცუდი აღმოჩნდა. აზიურმა ფაროსანამ დაკალმებული ბზის ტოტების დიდი ნაწილი გაახმო, ამ ფაქტის მიმართ კი მხოლოდ და მხოლოდ მექანიკური რეაგირება შემიძლია მოვახდინო. ანუ ბზის ჯერ კიდევ დაუფესვიანებელ ტოტებთან ქიმიურ პრეპარატებს ვერ გამოვიყენებდი და ფაროსანას ხელით მოშორება მომიწია. ბზის ტოტები, სადაც ფაროსანამ მიაღწია, სწრაფადვე გააზმო. 1000-მდე ნერგი მაინც მექნება, რომლის გაჩუქებასაც არ ვაპირებ. მინდა ვფლობდე თესლის ბანკს, საიდანაც კოლხური ბზის ნერგი არ გავა, რადგან ყველა ვერ იაზრებს ამ მცენარის მნიშვნელობას ისე, როგორც მე. ეს 1000-მდე ნერგი, თითოეული ჩემთვის ცოცხალი ორგანიზმია, რომელთან საუბარიც შემიძლია.

***ბზობის დღესასწაულზე თუ გააჩუქეთ ან გაყიდეთ ნერგები?***

–წელს მხოლოდ 100-მდე ბზის ნერგი გავაჩუქე. წლევანდელი გამოცდილებით კი გადავწყვიტე, სანერგე „ჩავკეტო“. იმას, რომ მე ფინანსური სარგებლის მიღება მინდა, ნუ იფიქრებთ. წელს რამოდენიმე შემოთავაზება მქონდა, დიდი რაოდენობით ნერგები უნდოდათ, მაგრამ უარით გავისტუმრე.

***ეს კეთილი საქმე, სწავლაში ხელს ხომ არ გიშლით?***

– ადამიანს აკეთოს საზოგადოებისთვის, ბუნებისთვის სასიკეთო საქმეები, ხელს არაფერი უშლის, მითუმეტეს სკოლა. ბზის მოვლა დიდ დროს არ საჭიროებს, მაგრამ წარსულში მქონდა ისეთი საქმე, რომელზეც თავის დანებებამ მომიწია. მცირე რაოდენობით მყავდა ბოცვრები, მაგრამ დროის უქონლობის გამო შევწყვიტე ეს საქმიანობა.

***რა იქნება მომავალში?***

–ძალიან ბევრი გეგმა მაქვს. პირველ რიგში სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში მინდა ჩავაბარო და მისი დამთავრების შემდეგ მსურს ჩემს ქვეყანაში დავრჩე და მიღებული ცოდნა საქართველოში გამოვიყენო.

***რას გვეტყვით თქვენს წარმატებებზე?***

–საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტში „წლის საუკეთესო“ 36 ნომინანტს შორის ორი ხობელი ვიყავით, მე და ლევან ჯობავა. ორივე ნომინანტს საზოგადოებრივი ჯილდო „წლის საუკეთესო“ გადმოგვეცა სხვადასხვა ნომინაციაში. ლევანს–„წლის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პროექტი 2016“. მე კი „წლის მნიშვნელოვანი მოვლენა ეკოლოგიაში 2016“. პრიზი გადმომცა ბატონმა ალექსანდრე რუხაიამ „საბუკოს“ (საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის) ერთ-ერთმა დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა.

***სანდრო, წარმატებები მინდა გისურვო სწავლასა და საქმიანობაში.***

–დიდი მადლობა თქვენ! კოლხური ბზის გამძლეობას და „მწვანე მომავალს“ გისურვებთ.

***ესაუბრა ნანი კილასონია***

# ს პ ო რ ტ ი

## სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის, ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების აქტიური მონაწილეობით საქართველოში ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა საჯარო სკოლებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

1 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტში სტარტი აიღო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობამ სასკოლო სპორტული ოლიმპიადის სახით, რომელიც ჩატარდა სპორტის შემდეგ სახეობებში–მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, გეზრბენი, მინი ფეხბურთი და მხიარული სტარტები. მინი ფეხბურთის გარდა სხვა სახეობებში შეჯიბრება გაიმართა როგორც ჭაბუკებში, ისე გოგონებში.

**მაგიდის ჩოგბურთში** მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობის გამარჯვებულები გახდნენ ჭაბუკებში **ქვალონის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები,** ხოლო გოგონებში–**შუა ხორგის საჯარო სკოლის მოსწავლეები.** ფრენბურთში ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ჭაბუკებში **ძველი ხიბულის საჯარო სკოლამ,** გოგონებში–**პირველი მაისის საჯარო სკოლამ.**

**კალათბურთში** გამარჯვებულები გახდნენ ჭაბუკებში **ხობის №1 საჯარო სკოლისა** და გოგონებში **ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები**.

**გეზრბენში** (კროსი) ჩემპიონები გახდნენ ჭაბუკებში **ნოჯიხევის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები**, გოგონებში კი გაიმარჯვეს **ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა**.

**მინი ფეხბურთში** პირველი ადგილი დაიკავეს ხობის **№1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.**

**მხიარულ სტარტებში** ჩემპიონობა მოიპოვეს ასევე ***ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა***.

გამარჯვებულ სკოლებს რეგიონალურ პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად სპორტული ფორმები მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეუძინა.

რეგიონალურ პირველობაზე ხობელებმა სამი მეორე ადგილი დაიკავეს.

**მაგიდის ჩოგბურთში** ***ქვალონის №1 საჯარო სკოლის ჭაბუკებმა*** (სპორტის მასწავლებელი რომან მორგოშია, დირექტორი ლუარა ყალიჩავა). ფინალში დამარცხდნენ აბაშის ძლიერ ნაკრებთან და საპატიო მეორე ადგილი დაიკავეს.

ასევე ფინალში დაამთავრეს შეხვედრა **ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლის** კალათბურთელმა გოგონებმა და მათაც დაიკავეს



საპატიო მეორე ადგილი (სპორტის მასწავლებელი რევაზ ნადარაია, დირექტორი მაია ქაჯაია).

ფინალში სამწუხარო მარცხი განიცადეს ძველი ხიბულის ფრენბურთელმა ჭაბუკებმა, ისინი თავიდან დაწინაურდნენ, თუმცა მესტიელებმა შეძლეს მობილიზება და დაამარცხეს ჩვენი გუნდი. ამრიგად, **ძველი ხიბულის საჯარო სკოლის** (სპორტის მასწავლებელი მოკონა ქვარაია, დირექტორი ზვიად ღვინჯილია) მოსწავლეებმა დაიკავეს მეორე ადგილი. სხვა სახეობებში სამწუხაროდ, ჩვენმა მოსწავლეებმა საპრიზო ადგილებზე გასვლა ვერ შეძლეს.

**მხიარულ სტარტებში** კი რეგიონალური პირველობა 4 მაისს გაიმართა.

შეჯიბრებას მუნიციპალიტეტის და რეგიონის დონეზე ორგანიზება გაუკეთა კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა, ა/აიპ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივმა ცენტრმა.

4-5 მაისს ქ, ზუგდიდში მხიარული სტარტების რეგიონალური პირველობა გაიმართა. ხობელთა ღირსებას მუნიციპალურ პირველობაზე გამარჯვებული **ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები** იცავდნენ. მათ წარმატებით დაიცვეს ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელი.

რეგიონის პირველობაზე ხობელმა მოსწავლეებმა ზუგდიდისა და ჩხოროწყუს წარმომადგენლები დაამარცხეს და ფინალში გავიდნენ, რომელიც 5 მაისს გაიმართა და მათი მეტოქე წალენჯიხელი მოსწავლეები იყვნენ. ხობელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ 5 სხვადასხვა სახეობიდან ოთხში აშკარად დაჯაბნეს მეტოქე და საერთო ჯამში 39:27 ქულით გახდნენ რეგიონის ჩემპიონები.

ვულოცავთ ხობის №1 საჯარო სკოლას (დირექტორი ქეთევან გაბისონია, სპორტის მასწავლებელი ლაშა სიჭინავა) წარმომადგენლებს ამ გამარჯვებას და წარმატებას ვუსურვებთ რესპუბლიკურ პირველობაზე, რომელიც უახლოეს პერიოდში ქ. თბილისში გაიმართება, სადაც ყველა რეგიონის გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

### ფ ე ხ ბ უ რ თ ი

10 მაისს სტარტი აიღო მოყვარულთა ლიგის 2017 წლის ხობის მუნიციპალიტეტის პირველობამ ფეხბურთში, რომელიც ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს.

შეჯიბრებაში დარეგისტრირებულია 21 გუნდი, რომლებიც ტერიტორიული პრინციპით 4 ზონად არიან დაყოფილნი.

ზონალური თამაშები გაიმართება ხობის, შუა ხორგის, ხეთის და საჯიჯაოს სტადიონებზე.

ზონებში გამარჯვებული გუნდები შექმნიან ნახევარფინალურ წყვილს. ფინალური მატჩი 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ხობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება.

შეჯიბრების ორგანიზატორები არიან ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია.

მუნიციპალიტეტის პირველობაზე ფინალში გასული გუნდები რეგიონის პირველობაზე მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც ივლისის თვიდან დაიწყება.

***მასალები მოგვაწოდა ლევან ლემონჯავამ.***

# სულთათანა

## ჯამბულ ბაბილუა



ძნელია წერო მოსაგონარი ისეთ შვილზე, როგორიც შენ იყავი. 24 წლის ახოვანი ჭაბუკი ახლა 49 წლის გახდი.

25 წელი გავიდა იმ ავადმოსაგონარი, შენი ტრაგიკულად დაღუპვის დღიდან, მაგრამ არავითარი დრო არ კურნავს ტკივილს, არ არჩენს იარას. ვცდილობ, წარმოვიდგინო როგორი იქნებოდა შენი მომავალი, შენი ბიძაშვილების მურმანის, მამუკასა და რევაზ ბაბილუების გვერდით. შენ წინ ნათელი და ლამაზი მომავალი გელოდა, მესამე კურსის წარმატებული სტუდენტი იყავი. ძლიერი, ერთგული, კეთილშობილი, სიცოცხლით სავსე, ყველასგან გამორჩეული.

ჩვენო დიდო ტკივილო, შენ დავიწყება არ გიწერია, მუდამ ჩვენს გვერდით ხარ, არ ამოიშლები არცერთი ჩვენთაგანის მეხსიერებიდან, ყველას გულში იცოცხლებ სამარადჟამოდ...

ყოველ დღესასწაულზე მოვდივართ შენი და მამიკოს საფლავზე (რომელმაც ვერ გაუძლო უშენობას), გინთებთ სანთლებს, გიძღვნით ყვავილებს, ვლოცულობთ თქვენი ლამაზი სულისთვის.

დაე, ჩვენს მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოთ გზა, სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა ზეციურ საქართველოში.

**დედა გულნარა ჩიტაია, დები ნუნუ, მანანა ბაბილუები.**

## „ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ“
## ზიკო ტურავა



არსებობს სამყაროში წუთები, როდესაც დრო ჩერდება, შავ-თეთრ კადრებად რჩება, გულის ყველა ნაწილში კი სამუდამოდ ისადგურებს გაუსაძლისი ტკივილი და უსასრულო სევდა.

ასეთი წუთები ჩვენთვის ერთი წლის წინ, 6 მარტს დადგა. წუთი, როცა ხვდები სინამდვილეში რას ნიშნავს სიტყვები, რომელსაც ადრე გაუცნობიერებლად ვამბობდით: „არსებობს ერთადერთი დაუძლეველი შიში, შიში საყვარელი ადამიანის დაკარგვისა.“

იმ დღეს შენ დაგკარეთ, ზიკო!

მანამდე კი იყო ძალიან ბედნიერი დღეები. სამი მარტი. ეზოში დაკრეფილი ნარცისებით დედის დღე მიულოცე ნანას.(შენი საყვარელი ფრაზა მახსენდება „ყველაზე მეტად დედის თვალებში ჩამდგარი ღმერთის არსებობა მწამს“) მამა სოსო, დები–მარტა, ქრისტინე, დისშვილები. საოცარია, შენი ნაადრევად წასვლის წინ მთელმა ოჯახმა ერთად მოიყარა თავი. მაგიდაზე თავს იწონებდნენ შენი დაკრეფილი ნარცისები. წელს ეს ნარცისები არ აყვავებულან, ეტყობა, ერიდებათ დედის. დედისა, რომლისთვისაც მერე ყველაფერი ნაცრისფერი და ნარცისისფერი გახდა. ნარცისისფერი ფიქრები, დარდიც რომ ნარცისის ფერია... პირველი ნაოჭები სწორედ იმ დღეს გაჩნდა შენი ლამაზი მშობლების სახეზე, პირველი ჭაღარაც ( დღეს უთვალავი). თითოეულ ნაოჭში დიდი ტკივილი, დიდი მწუხარება იკითხება, რადგან დრო თურმე არ კურნავს ( ან ვერ). ის, უბრალოდ, გაიძულებს შეეგუო შეუგუებელს, ლოდქვეშ მოყოლილი ყვავილივით გაუძლო და დღის მანძილზე დაგროვილი ტკივილი „ღამე სულ ერთად გამოიტირო“.

როგორ ვამაყობდით შენით. ყველაფრით... გარეგნობით, მანერებით, შენი განსაკუთრებული შარმით, ხიბლით, ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებით, როგორ გჯეროდა და გვჯეროდა შენი ტრიუმფის, შენ ბევრად დიდი ამბიციები გქონდა. ამ შემთხვევაში შენი ამბიციები შეესაბამებოდა შენს შესაძლებლობებს. იმდენი რამ გინდოდა, ფიქრობდი, გეგმავდი... ველარ მოიცადე, მოცდა ძალიან გიჭირდა, სულ სადღაც გეჩქარებოდა, და თან ძალიან. თუმცა ამ ნაადრევი გარდაცვალებით უკვდავყავი ყველაფერი, რისი გაკეთებაც მოასწარი.

გვინდა რაღაც გამართლება მოვუძებნოთ შენს ნაადრევ გარდაცვალებას. იქნებ შენ, როგორც განსაკუთრებულმა, გამორჩეულმა, თავად აირჩიე ადგილი, სადაც არასდროს ტირიან–მარადისობა. ალბათ ფიქრობდი, რომ ამ სამყაროში შენი ხანმოკლე ყოფნა მარტოოდენ სულის მოთქმა იყო და არა საიმედო ნავსადგურში ღუზის ჩაშვება. გვჯერა, რომ შენ ყველა და ყველაფერი მანდ დაგვხვდა, რაც აქ გქონდა ის და კიდევ ბევრი სხვა, რაც ჩვენ არ ვიცით და მანდ გექნება. შენ იქ იპოვი იმ სიხარულსა და ბედნიერებას, რასაც აქ ეძებდი. გვჯერა, რადგან ისევ შენ დაგვანახე მარადიულობა სხვანაირად, სულის უკვდავებაც შენ დაგვაჯერე.

ძნელია გაიარო გზა სიცოცხლიდან სიკვდილამდე ისე, რომ სიკვდილის შემდეგაც იცხოვრო. შენ ცოცხლობ... შენი დისშვილები–ლუკა გამუდმებით იმეორებს „ზიკო იესოსთან არის“, მარიამი კი თავს გვაწონებს და გვეუბნება „მე ზიკო ბუძას თვალები მაქვს“. პატარა ლევანიკოს ჯერ ლაპარაკი არ შეუძლია, მაგრამ როცა გაიზრდება, ისიც მოიწონებს თავს იმით, რომ საოცრად გავს ბიძას.

ყველას ძალიან, ძალიან გვენატრები... უსაშველოდ, არადა როცა ძალიან მოგენატრებით, მაშინ მოვალო, რომ დაგვიბარე, იმ წუთიდან მოყოლებული მუდამ ძალიან გვენატრები, შენ, ალბათ, გგონია, რომ „ძალიან“ ჯერ არ დამდგარა. არადა ჩვენი მონატრება, ზიკო, „ძალიანაა“ და შეუძლებელია რამე მიემატოს. გეძებთ სიზმრებში, გეფერებით და ... გსაყვედურობთ, რომ მონატრებულს სიზმრებშიც ვერ გხედავთ. სიზმარში მაინც გვინდა გითხრათ ის, რისი თქმაც აქ ვერ მოვასწარით...

გვიჭირს უშენოდ... ამიტომ ვუსმენთ ნეტარ ავგუსტინეს: „ნუ ტირი თუ მართლა გიყვარვარ“. ( შენ ძალიან მოგწონდა) და მივხვდით, რომ ასე უნდა გელაპარაკოთ, რადგან სადაც არ უნდა იყო, წლები აღარ გემატება, სამოთხე უკვე შენშია ან შენ ხარ მასში, რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ ახლოს ვართ, სიშორე, იცი, არაფერს ნიშნავს, ზიკო.

**ლალი დვალიძე**



ხელოვნება ხომ ადამიანის შემოქმედებისა და წარმოსახვის ფიზიკური გამოხატვაა, რომელიც აერთიანებს სინამდვილისა თუ მოგონილის მხატვრულად გამოხატვის სხვადასხვა ფორმებს. ხელოვნების მოყვარული ადამიანები უდიდესი ფანტაზიითა და უნარით დაჯილდოებულნი გახლავთ.

საინტერესო და გასახარია, რომ შენს მუნიციპალიტეტში, შენს სიახლოვეს არიან ადამიანები, რომლებიც უჩუმრად ქმნიან ხელოვნების ნიმუშებს, მაგრამ დასანანია, რომ საზოგადოების თითო-ოროლას გარდა მათ არ იცნობენ და არც მათი ნამუშევრებია ყურადღების ცენტრში.

სოფელ ხეთაში ცხოვრობს მურთაზ ტურავა, რომელიც მუდამ ძიებაშია. ეძებს სხვადასხვა ჯიშის ხეებს, მეტალებს, ძირხვენებს და მისგან ქმნის ხელოვნების ნიმუშებს. დიახ, წლებია მსხლის, თუთის, ურთხმელის, კომშის... მასალისგან თლის და „აქანდაკებს“ საოცრად ნატიფ ქმნილებებს და განა მარტო ხისგან, დახვეწილი, ჭედური ნამუშევრები აქვს შესრულებული თითბერის, ლატუნისა და ვერცხლისგან. სახვითი ხელოვნების დარგსაც თავად დაეუფლა, როგორც ხის დამუშავებას. მისი ხელოვნების ნიმუშები ძალზე მოსაწონია. მე იმ ღირებულებების შეფასება, როგორც არასპეციალისტს, არ ძალმიძს, მაგრამ რაც ვნახე, ესთეტიკურად მოსაწონია და ვფიქრობ, ღირებული...

უთქვამთ, მიეცი ნიჭსა გზა ფართო! მაგრამ გზის გაკვალვას და მის რეალიზაციას, ძალზე ბევრი რამ ისეთი სჭირდება, რაც ხშირ შემთხვევაში შენს შესაძლებლობებს აღემატება. როგორც თავად ამბობს, ის მუდამ ახლის ძიებაშია, ეძებს მისთვის საჭირო მასალებს იქ, სადაც ის ცხოვრობს, მის სიახლოვეს...

როცა ბატონი მურთაზი ოჯახში მოვინახულე და მისი ქმნილებები ვიხილე, ვკითხე:

# ის, ხელოვნების ნიმუშებს ქმნის

***როგორ დაინტერესდით ამ დარგით?***

–ჩემს მეზობლად ცხოვრობდა პიროვნება ენუქ კოდუა, რომელსაც მცხეთაში დამთავრებული ჰქონდა სამხატვრო სასწავლებელი, კერამიკის განხრით და შემდეგ ქვაზე ხატავდა... მან მირჩია, წადი და თოიძის სასწავლებელში ჩააბარე, შენ გაქვს სათანადო მონაცემებიო. რჩევა მართლა გაითვალისწინა და ჩააბარა თბილისის თოიძის სამხატრო სასწავლებელში, მისი დამთავების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, დიზაინის სპეციალობაზე. აკადემია წითელ დიპლომზე დაამთავრა. მას შესთავაზეს, დარჩენილიყო აკადემიაში, ალბათ მასში იდო ის ფენომენი, რომელსაც ხელოვნების ნიჭი ჰქვია, მაგრამ ოჯახურმა მდგომარეობამ განსაზღვრა მისი ხეთაში დაბრუნება. ასე, რომ არა, ვინ იცის რას მიაღწევდა, როგორი წარმატებული ადამიანი გახდებოდა.



წლები ენუქისთან მუშაობდა, შემდეგ კი ხეზე კვეთას და ჭედურობას მიჰყო ხელი, სცადა და კარგადაც გამოუვიდა... ნამუშევრების გაყიდვა არც კი უცდია,–აქ შრომის საზღაურს ვერ მივიღებ, ამიტომაც არ ღირსო. ვერც კი წარმოვიდგენდი ხესთან და ლითონთან თუ მექნებოდა საქმეო.

***თქვენი ნაკეთობის სადმე გამოფენაზე წაღებასა ან გაგზავნაზე გიფიქრიათ?***

–არ მიცდია, თუმცა მთხოვეს და ვერცხლით, წმინდა გიორგის ხატი გავაკეთე, რომელიც სვანეთში წაიღეს. მასში მთელი სული და გული ჩავდევი,–მეუბნება იგი.

ერთი წლის წინ მთხოვეს და ნამუშევრები „ეგრისობაზე“ გავგზავნე. ქალბატონ როზეტა შულაიას დამსახურებით ჩემი ქმნილებები ხობში, „ცოტნეობის“ დღესასწაულზეც გამოიფინა. სამერმისოდ ვნახოთ, რა იქნება. იქნებ კიდევ ვინმე დაინტერესდეს...

მურთაზ ტურავა 65 წლისაა. ჰყავს მეულლე აზა აქუბარდია და სამი ქალიშვილი. ისინი წყალტუბოში, თბილისსა და სოჭში ცხოვრობენ. მურთაზის აქვს ძალზე კარგი და თბილი, მეგობრული ოჯახი. დროს ტელევიზორთან, თავის „საქმესთან“, ატარებს შვილებთან და შვილიშვილებთან შეხვედრის მოლოდინშია და მომავალს იმედით უყურებს.

იმედი და მოლოდინი ნუ მოგიშალოთ უფალმა! წმინდა გიორგის მადლი შეგეწიოთ, ბატონო მურთაზ!

***ნანი კილასონია.***

# „გაზაფხული შემოსულა, ლენ!“

ხობის სამუსიკო სკოლის წინ მანქანების სიმრავლეა, სავსე დარბაზი კი კონცერტის მონაწილეთა მოლოდინში გარინდულა...

ეს სკოლა დაარსებიდან ათეულ წლებს ითვლის. ვინ იცის, რამდენჯერ სმენიათ იქ მისულთ თუ გამვლელ-გამომვლელთ მუსიკის საოცარად ნაზი, დამამშვიდებელი, თუ ამაფორიაქებელი და ძლიერი ჰანგები. აქედან მუდამჟამს ჟღერს და იკვრება ქართველ თუ უცხოელ კომპოზიტორთა ქმნილებები. საკლასო ოთახებიდან ყოველთვის, მით უფრო პატარა „მუსიკოსებთან“ მომუშავე პედაგოგების ოთახებიდან მოისმის ნელი ხმები–დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი... და მას თითების საოცარი მოძრაობით პატა-



რებიც იმეორებენ... და ასეა აქ, დაუსრულებლად...



მუსიკის მოყვარულთა თუ პედაგოგთა მონაცვლეობა სამუსიკო სკოლაში უცხო როდია, სკოლადამთავრებულთა შორის ბევრმა სამუსიკო სასწავლებელი დაამთავრა, ბევრმა კონსერვატორიაც და თავიანთ კარიერას დედაქალაქსა თუ სხვა ქალაქებში აგრძელებენ. რამდენიმემ მუშაობა თავიანთ პედაგოგებთან გააგრძელა და სკოლის სრულუფლებიანი წევრები გახდნენ. ასე გრძელდება სამუსიკო სკოლის ყოველდღიურობა.

...დარბაზი, სადაც ბავშვები, მშობლები, პედაგოგები და მოწვეული სტუმრები იყვნენ, ლამაზად გამოიყურებოდა.

კონცერტი ხობში ახლადჩამოყალიბებულ კულტურულ-საგანმანათლებლო-საზოგადოებრივი ცენტრის ინიციატივით ჩატარდა და გაზაფხულის შემობრძანებას მიეძღვნა. „გაზაფხული შემოსულა, ლენ!“ ასეთი იყო კონცერტის ანშლანგი. მასში მონაწილეობდნენ ცენტრში შემავალი სამსახურები. ღონისძიებას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **დოდო გაბუნია,** ცენტრის დირექტორი **ბორის ბერაია,** დირექტორის მოადგილე **ხათუნა ხორავა,** ცენტრში შემავალი სამსახურების მენეჯერები და სპეციალისტები...

მათი მყუდროება კონცერტის–„გაზაფხული შემოსულა, ლენ! წამყვანის ხმამ დაარღვია. ღონისძიება გახსნა ამავე სკოლის კურსდამთავრებულმა, პედაგოგმა მაია ბერაიამ. მან გვამცნო გაზაფხულის სიდიადე, რომ გაზაფხული ბუნების გამოცოცხლების, სილამაზისა და სიყვარულის დროა, შემდეგ კი ანსამბლ „კოლხეთის“ (ხელმძღვანელი ნუგზარ ზარანდია) მომღერლები წარადგინა. დარბაზში გაისმა „თავს რად მარიდებ ქალაო“ და „მთიულური სატრფიალო“. მომღერალთა ნახვამ და მოსმენილმა სიმღერებმა მსმენელთ მათი მთელი მოღვაწეობა მოაგონა.

შემდეგ კი სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა ეკა ლატარიამ და მაია ბერაიამ ხაჩატურიანის ვალსი მოგვასმენინეს. პედაგოგმა ხათუნა სალიამ თავის მოსწავლე ანა ქალდანთან ერთად ქართული-ხალხური მუსიკალური ნაწარმოები „ფანდურული“ დაუკრა. სცენა დაეთმო სამუსიკო სკოლის მომღერალთა გუნდს (გუნდის ხელმძღვანელი მზევინარ გვაძაბია). მათ ლამაზი სიმღერა „გაზაფხული“ შეასრულეს.

სცენა კვლავ ეკა ლატარიას და ნაზი ბერაიას დაეთმო. გაისმა ბრამსის მელოდია–უნგრული ცეკვა. სცენაზე ლამაზი ფერია მარი ჯიქია „შემოფრინდა“ და მიმზიდველი შესრულებით ნაზად, ემოციურად „მზე იცინის“ წაიკითხა (კულტურულ-საგანმანათლებლო-საზოგადოებრივი ცენტრი–მარინა ჯღარკავა).

მაყურებლის წინაშე დედა-შვილი პედაგოგი მაია ბერაია და მოსწავლე მარიამ წურწუმია წარსდგნენ. მათ აზარაშვილის ვალსი დაუკრეს. შემდეგ სცენა დაეთმო პედაგოგებს ია კაკულიასა და თამარ ხუნწარიას (სამუსიკო სკოლის მენეჯერი). მათ მონტის უნგრული ხალხური სიმღერა შეასრულეს.

სცენა გოგონათა ანსამბლმა დაიკავა (ანსამბლის ხელმძღვანელი მილენა სიორდია) სოლისტმა ლიზი ნარსიამ კომპოზიტორ ი. გურგულიას „გვირილა“ შეასრულა (ხობის მეორე საჯარო სკოლა). ბ. ზვანელის „ჩემო საქართველო“ გაისმა დარბაზში. სიმღერა სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა იმღერა. სცენა კვლავ პედაგოგებს დაეთმო. ხათუნა ჯობავამ და ნაზი ბერაიამ ვაჟა აზარაშვილის „კორიდა“ დაუკრეს. გოგონათა ანსამბლმა მსმენელთა გულები დაიპყრეს. მათ ნუნუ გაბუნიას „გაზაფხული“ შეასრულეს.

ბიზეს „კარმენს“ პედაგოგები: ჟიული ლატარია და ხათუნა სალია უკრავდნენ. რიკარდო კოჩანტეს „ბელი“ დაუკრეს ია კაკულიამ და ხათუნა ჯობავამ, ხოლო ლარისა ჩიტაიამ და ჟიული ლატარიამ აზარაშვილის „გაშაირება“ შეასრულეს.

„მაღალო ცაო!“ მღერის ბარბარე ლოლუა. „გაზაფხული“ ხატოვნად წაკითხა ნინო ფაჩულიამ (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, მაია კუჭავა), მაია ბერაიამ და ხათუნა ჯობავამ აზარაშვილის „ჩარლსტონი“, ხოლო ლაღიძის „საჭიდაოს“ თამარ ხუნწარია და ჟიული ლატარია უკრავდნენ.

დასასრულს, სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა გუნდი ჩარკვიანის „ჰიმნით“ დაემშვიდობა დარბაზს.

კონცერტი „გაზაფხული შემოსულა, ლენ“, რომელიც კულტურულ-საგანმანათლებლო-საზოგადოებრივი ცენტრის“ და მასში შემავალი სამსახურების, ეგიდით ჩატარდა, ძალიან მხიარულ ნოტაზე დამთავრდა. ნანახმა და მოსმენილმა მოლოდინს გადააჭარბა.

ასეთი იყო გაზაფხულის ერთი ლამაზი დღე სამუსიკო სკოლაში.

***ნანი კილასონია.***

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია (ნომრის პასუხისმგებელი მორიგე), როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.